საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 11 აგვისტო. 2023 წ. №93 (9625) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფაქვაა, ფაქიოლებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკალრისიბაგზე ეხაძაგლესია.

ქვეყნის სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს!

ნინო ჩხოზაძე:

გაფრთხილების მოწყობილობა მხოლოდ დევდორაკზე და ვერეს ხეობაზე გვაქვს!

იხ. 6 გვ.

გიორგი გოცირიძე:

სამწუხაროდ, ფრონტის ხაზზე ვართ, დევდორაკის მერე დაიწყო კლიმატის კიდევ უფრო დათბობა!

ჭანჭახმა ბოროტი სულებიც გამოაჭანჭახა!..



902

ხვალ (3) დიდგორობაა, გილოცავთ!

სოსო შატბერაშვილი:

პირდაპირ ვაცხადებ:

(5)

იგეგმება სახელმწიფო გადატრიალება!

ბანკომატი ქალების სინდრომი,

ანუ ვინ გადაუხდის მადლობას საშოვრიდან დაბრუნებულ „ქართვლის დედას“...

75 წლის ქალბატონი წლების განმავლობაში საგერძნეთში მუშაობდა და ფულს ოჯახს უგზავნიდა. როდესაც ასაკი მოერია და ჯანმა უმტყუნა, საქართველოში დაბრუნდა და მიგრანტებისთვის გათვალიწინებული დახმარების მისაღებად ვაუიშვილთან ერთად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას მიაკითხა. ჯანმრთელობის პრობლემებიც აწუხებდა, ამიტომ გადაწყვიტა, სამედიცინო დახმარებით ესარგებლა. ზორბა აღნაგობის, ასე ოცდათხუთმეტი წლის ვაუი კი აგრესიულად ჩასჩიჩინებდა: ეგ არა, მიზნეს-გრანტი აიღეო. როდესაც თანხა ეცოტავა, ჩხუბი დაუწყო: რატომ დაბრუნდი, ხომ გეუბნებოდი, არ ჩამოსულიყავიო? საცოდავი ქალი ატირდა: „ჩვიდმეტი წელი ვიმუშავე და ფული გიგზავნე; ახლა ხომ ხედავ, ავად ვარ და მუშაობა უბრალოდ აღარ შემიძლიაო...“

ქალების მასობრივი შრომითი მიგრაცია საზღვარგარეთ ძირითადად 2002 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. თუ სოციალურ ქსელში გაუღერებული ინფორმაციითა და მედია-პუბლიკაციებით ვიმსჯელებთ, ახლობლების მხრიდან გაუცხოება, ან სულაც უმადურობა საკმაოდ ხშირია. მიგრანტებთან მომუშავე არასამთავრობო სექტორის მუშაკებიც იმავე ტენდენციაზე მიუთითებენ. ანუ, მომსწრენი გავხდით შემაშფოთებელი სოციალური სინდრომისა: „ქართვლის დედას“, რომელმაც მახვილი და თასი გვერდზე გადადო და საშოვარის გზას დაადგა, ხშირად მადლობასაც არავინ ეუბნება.

იხ. 7 გვ.

სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!

იხ. 8 გვ.

ცხინვალის დაბომბვა და სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო იდიოტმა, მოღალატე სააკაშვილმა!!!

მწერალთა სახლს ქეთევან დუმბაძე უხელმძღვანელებს

(12)

ჭანჭახმა ბოროტი სულებიც გამოაჭანჭახა!..

უკვე ერთი კვირა მიილია შოვის ტრაგედიიდან, რაც საკმარისი ვადაა ემოციების დასაცხრომად და პირველადი დასკვნების გამოსატანად. ეს მათთვის, ვინც განვითარებულ საინფარქტო მოვლენებს ჭირისუფლის თვალით უყურებს, თორემ ლპობის სტადიაში მოყიყინე ჭაობის ბაყაყებს, ფულის საჭრელ დაზგად პოლიტიკანობა რომ გაუხდიათ, ბუნებრივია, ობიექტურ ექსპერტებად ვერაფრის დიდებით ვერ მივიჩნევთ, რადგან ორმეტრიანი ენებისთვის დანიშნულების პუნქტის შერჩევას დღემდე ვერ ახერხებენ.

უპრეცედენტო სტიქია, მოგეხსენებათ, დროში აგვისტოს ომის მე-15 წლისთავს დაემთხვა, ყველაფრის მკადრებელმა დესტრუქციულმა ოპოზიციამ კი, ნაცვლად იმისა, რომ გესლის ნთხევაზე დროებით მაინც გამოეცხადებინა მორატორიუმი, პირიქით, გამოწვევის პირისპირ მარტოდ დარჩენილ ხელისუფლებას მეორე ფრონტი გაუხსნა და, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ აჩვენა დაზაფრულ საზოგადოებას ჭეშმარიტი სახე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მგლოვიარე თანამემამულეთა გულშემატკივრობასთან თუ სახელმწიფოებრივად აზროვნებასთან.

აღნიშნულ ცარიელ თავებს საკადრისი კომპეტენტური პასუხები უკვე გასცეს პროფესიული წრეებისა და შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებმა ისეთ ყბადაღებულ, „სატოპკედ“ აწეულ სასკანდალო თემებზე, როგორიცაა კალაძის შვილების გამოსწრება, ვერტმფრენის დაგვიანება, ბუ-



ილია მეორემ რომის პაპ ფრანცისკეს მადლიერების წერილით მიმართა

„თქვენო უწმინდესობავ, საქართველოს მთელი მოსახლეობა და ჩვენც დიდად მადლიერნი ვართ იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც 2023 წლის ლისაბონის მსოფლიო ახალგაზრდობის დღის მონაწილეთადმი თქვენს მიმართვაში გამოხატეთ რაჭაში მომხდარი სტიქიური უბედურებისა და მის მსხვერპლთა გამო.

თქვენი გამორჩეული მზრუნველობა და სიყვარული ჩვენი ქვეყნისა ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობის მაგალითია. შევთხოვ უფალს, არ მოგაკლოთ თვისი შემწეობა და მფარველობა“, – ნათქვამია პატრიარქის წერილში. რომის პაპი ფრანცისკე შოვში მომხდარ სტიქიას გამოეხმაურა. მისი თქმით, ლოცულობს მსხვერპლთათვის და მადლობას უხდის ადამიანებს, რომლებმაც დაზარალებულებს დახმარება გაუწიეს.

თემურ მღებრიშვილი: საშუშაოები გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე მცირე შანსი იარსებებს...

თემურ მღებრიშვილმა განმარტა როდემდე გაგრძელდება შოვში, სტიქიის ზონაში საძიებო სამუშაოები, – ამის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა მეხანძრე-მაშველების ერთკვირიანი მუშაობის შეჯამებისას განაცხადა.

„ზოგადად, რა თქმა უნდა, არსებობს გონივრული ვადები იმ ანალიზებზე დაყრდნობით, რომელიც შეიძლება კეთდებოდეს კონკრეტული სტიქიური უბედურების ზონებში. თუმცა, პრემიერ-მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით, გადაწყვეტილებით, სამძებრო სამუშაოები გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე იარსებებს თუნდაც მცირეოდენი შანსი იმის, რომ გარდაცვლილი იყოს ნანახი, თუნდაც რაიმე სახის ფრაგმენტი. სამწუხაროდ, გვიწევს ამ ძალიან მძიმე თემაზე საუბარი, მაგრამ ეს არის ფაქტი“, – განაცხადა მღებრიშვილმა.

ტებენეს ხეობაში საფრთხის დონე ძალიან დაბალია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მუჟავას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარედ, მდინარე ტებენეს ხეობაში გეოლოგები იმყოფებოდნენ. სპეციალისტების პირველადი განმარტებით, ამ დროისთვის საფრთხის დონე დაბალია, – ამის შესახებ ინფორმაციას სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ადმინისტრაციის ცნობით, გეოლოგებმა და ჰიდროლოგებმა მდინარის დამეწყრილი კალაპოტი და დაგუბებასთან დაკავშირებული ვითარება შეისწავლეს, შეფასდა სიტუაცია და მზადდება ოფიციალური დასკვნა.

მდინარე ტებენეს ხეობაში არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია ადგილობრივმა მოსახლეობამ 8 აგვისტოს გაავრცელა, მომხდარზე სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ მყისიერი რეაგირება მოახდინა და პროცესში გარემოს ეროვნული სააგენტო ჩართო. სააგენტოს წარმომადგენლები ინფორმაციის გავრცელებიდან მეორე დღესვე ავიდნენ ხეობაში.

ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს დაუფინანსდება

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ონკოლოგიური პაციენტებისთვის სრულფასოვან მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები ქვეყნის მასშტაბით ყველა ონკოლოგიურ პაციენტს დაუფინანსდება.

„მათ შორის არიან ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია. ცვლილებამდე მათ აღნიშნული მომსახურებები არ უფინანსდებოდათ. სიახლე შეეხებათ დაზღვეულ ვეტერანებსაც. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება. ცვლილება უკვე დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ“, – აღნიშნულია ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

ვინც კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის ან კახური მწვანეს ჯიშის ყურძენს შეიძენს, სუბსიდიას მიიღებს

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც 2023 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის ან კახური მწვანეს ჯიშის ყურძენს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ სახელმწიფო ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 0,90 ლარისა. კახეთის რეგიონში მევენახის მიერ მოწეული ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია შეადგენს 1 კგ რქაწითელისა და 1 კგ კახური მწვანესათვის – 0,20 ლარს.

არასტანდარტული ვაშლის მოსავლის დაბინავების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება

– წარმოებული პროდუქცია დაუბინავებელი რომ არ დარჩეს, ფერმერებს არ შეექმნათ მოსავლის რეალიზაციის პრობლემა და მიიღონ შემოსავალი, არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, წინა წლების მსგავსად, წელსაც განხორციელდება.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტო ერთ კგ არასტანდარტულ ვაშლზე 10 თეთრის ოდენობის სუბსიდიას გასცემს. სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებენ ხილის გადამმუშავებელი ის კომპანიები, რომლებიც 2023 წლის 15 დეკემბრამდე ფერმერებისგან 1 კგ არასტანდარტულ ვაშლს არანაკლებ 24 თეთრად შეისყიდიან.

„მწვანე ენერგიის“ ექსპორტი საქართველოს გავლით

აზერბაიჯანი ევროპაში საქართველოს გავლით „მწვანე ენერგიის“ ექსპორტს უზრუნველყოფს. გასულ კვირას ბუქარესტში აზერბაიჯანმა, საქართველომ, რუმინეთმა და უნგრეთმა ხელი მოაწერეს ერთობლივი საწარმოს შექმნის მემორანდუმს.

კერძოდ აზერბაიჯანი აპირებს ევროპაში ქარის ელექტროსადგურებით გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტს, რასაც აფშერონის ნახევარკუნძულთან, კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ელექტროსადგურები გამოიმუშავებს. შემდეგ კი საქართველოს გავლით, ეს ელექტროენერგია შავი ზღვის ფსკერზე გამავალი კაბელით ევროპაში იქნება ექსპორტირებული.

ასევე აზერბაიჯანის ხელისუფლება ყარაბაღის გარშემო 2020 წელს გათავისუფლებული ტერიტორიების პოტენციალის გამოყენებასაც აპირებს. აქ საუბარია როგორც ქარის, ასევე ჰიდრო და მზის ენერგიაზე. ქარის ელექტროენერგეტიკის განვითარებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია ქალბაჯარის და ლაჩინის რაიონები. ამ რაიონებში ქარის საშუალო სიჩქარე წელიწადში 10 მ/წმ-ს შეადგენს. ყარაბაღის რეგიონის ქარის პოტენციალი დაახლოებით 2000 მეგავატს შეადგენს.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი – 950

დიდგორობა – 902

„...მეფესა დავითს ამისათვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულიად ოხერი, ამან განავსნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთ თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი“.

ვახუშტი ბაგრატიონი

...დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავისი დიდბუნებოვანი კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავისი ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამასთან, შემწყნარებელი სხვისი მაშინ, როცა იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არ ზოგავდა... ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან?!

ილია ჭავჭავაძე, 1888 წ. 26 იანვარი

გალობანი სინანულისანი

(ნაწყვეტი ანდერძიდან)

ადიდებდითსა

1. ჟამი რაჲ წულილთა და ჴმელთა აღმოფშჳნვათაჲ წარმოდგეს,
ზარი მეფობისაჲ წარჴდეს და დიდებაჲ დაშრტეს,
შუებაჲ უქმ იქმნნენ,
ყუავილოვნებაჲ დაჭნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ,
სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

2. გან-რაჲ-ეღოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა
და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვაჲ ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

3. ვანაჲთგან აღსარებით გრძნობად და შეკრებად იწყო
ძუალი ძუალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა,
და განჴმელთა მოჰბერა
სული კუალად — შობისაჲ,
მწრამს, ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ-ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ!

4. მარტიო, სრულო, სამ-მზეო, ერთ ცისკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა
გიხილო ნათელი
ნათლითა უფლისაჲთა,
სულითა ღმრთისაჲთა,
გამოგჳბრწყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა!

5. არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედაჲ თჳნიერ შენსა,
არცა ჩემოდენ ბრალეულსა — ნათელი მისი,
გარნა მე შენითა
ოხითა, დედოფალო,
ვესავ ხილვად ნათელსა
ძისა შენისასა
და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა!

ისევ ავტოექსპორტის ჰაბად ვრჩებით!

ავტოიმპორტიორები საქართველოში ფასების შემცირებას ელიან

ამერიკიდან და ევროკავშირიდან შემოყვანილი მანქანების რუსეთში ექსპორტის აკრძალვა ქართველი ავტოიმპორტიორებს შემოსავლებს მნიშვნელოვნად შეუმცირებს, თუმცა ახლა ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ რეექსპორტის სხვა მიმართულება გადარჩეს. ავტომობილების ბაზრებზე მომხდარი ცვლილებები, უახლოეს პერიოდში მოთხოვნას აუცილებლად შეამცირებს, პარალელურად კი ავტოინდუსტრიის წარმომადგენლები საქართველოში ფასების შემცირებასაც ელიან.

2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან რუსეთში 269,680.58 ათასი დოლარის ღირებულების 27,393 ერთეული მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განხორციელდა, რაც 1821%-ით მეტია 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან.

უფრო კონკრეტულად, 2022 წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან რუსეთში 14,038.98 ათასი დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი აღირიცხა.

მიმდინარე წლის სტატისტიკით, თვეების ჭრილში რუსეთში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი მზარდი იყო. 2023 წლის ივნისში საქართველოდან რუსეთში 11,146.52 ათასი დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განხორციელდა, 2023 წლის მაისში კი – 10,812.10 ათასი დოლარის ღირებულების. შესაბამისად, ზრდა 3%-ია.

2022 წლის განმავლობაში ქვეყნიდან რუსეთში 75,718.70 ათასი დოლარის ღირებულების 5,395.00 ერთეული მსუბუქი ავტომობილის რეექსპორტი აღირიცხა. შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ საქართველო განაგრძობს საერთაშორისო სანქციების აღსრულების მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

„როგორც ცნობილია, აშშ-ის მიერ, სანქციების დაწესებისას, არ ხორციელდება წინასწარი კონსულტაციები სხვა ქვეყნებთან და შესაბამისად, წინასწარ არ არის ცნობილი არც კონკრეტული საქონლის კოდი, რომელიც ხვდება სანქციების სიაში და არც მისი ამოქმედების ვადები. შესაბამისად, მოსალოდნელი სანქციების თაობაზე ინფორმაცია წინასწარ ვერ იქნება გაზიარებული მიზნესოპერატორებისთვის, რომლებზეც შესაძლებელია გარკვეული გავლენა ჰქონდეს აღნიშნულ სანქციებს.

შეზღუდვები არ ეხება აშშ-დან და ევროკავშირიდან შემოყვანილი ავტომობილების ექსპორტს (რეექსპორტს) იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან მითითებული აშშ-სა და ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ სანქციებში. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს აქვს მუდმივი კონსულტაციები აშშ-ისა და ევროკავშირის კომპეტენტურ უწყებებთან და პარტნიორ ქვეყნებთან. სანქციებთან დაკავშირებით, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ის უკვე დადასტურებულია ოფიციალური წყაროებიდან და გასათვალისწინებელია ბიზნესოპერატორებისთვის“, – განმარტავენ შემოსავლების სამსახურში.

ავტობიზნესში სანქციების სქემის გაფართოებასთან დაკავშირებით, კომენტარს რამდენიმე მიმართულებით აკეთებენ. ავტოიმპორტიორთა ასოციაციის ხელმძღვანელის **ალექსი ნონიაძის** განცხადებით, ამერიკიდან და ევროკავშირიდან შემოყვანილი მანქანების რუსეთში ექსპორტის აკრძალვა ქართველი ავტოიმპორტიორებს შემოსავლებს მნიშვნელოვნად შეუმცირებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ექსპორტს მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 5% უჭირავს.

„თუ ექსპორტში მოწინავე ადგილებზეა რუსეთი, იმპორტში არის სადღაც მე-7 ადგილზე და მთლიან ექსპორტში 5,3% უკავია. მიმდინარე წლის 6 თვეში, რუსეთში ექსპორტზე გავიდა 3800-მდე ავტომობილი, რამაც 53 მლნ დოლარი შეადგინა. ახალი სანქციების ამოქმედების შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს ბაზარი მოაკლდება იმპორტს.

5% არ არის კრიტიკული მაჩვენებელი და მნიშვნელოვან პრობლემებს არ შექმნის, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითოეული პროცენტის უკან დგანან ის ავტოიმპორტიორები, რომელთაც შემოსავალი შეუმცირდებათ“, – აღნიშნა ალექსი ნონიაშვილმა.

მისი შეფასებით, ავტოიმპორტიორებს გადასახადების ზრდის გამო ისედაც რთული მდგომარეობა აქვთ, მაგრამ ასოციაცია იაზრებს, რომ სანქციების შესრულება აუცილებელია, რათა ბაზრის დანარჩენს 95%-ს საფრთხე არ დაემუქროს.

„ვცდილობთ ავტოიმპორტიორებსაც გავაგებინოთ, რომ თუ ჩვენ აშშ-ისა და ევროკავშირის ამ მოთხოვნებს არ შევასრულებთ, შესაძლოა ბაზრის 95%-იც დავკარგოთ. ძალიან რთული ვითარებაა. მოთხოვნის ზრდის მიუხედავად მიწოდება უფრო მეტად იზრდება და ამის გამო ბაზარი გაჯერებულია და გაჩერებულია. ავტოიმპორტიორები მანქანებს ვეღარ ყიდიან, თვეობით უდგათ ბაზრობაზე, გაეზარდათ ხარჯები“, – განაცხადა „კომერსანტის“ ეთერში ნონიაძემ.

ავტომობილების ბაზრებზე მომხდარი ცვლილებები, უახლოეს პერიოდში მოთხოვნას აუცილებლად შეამცირებს, რასაც ავტოიმპორტიორები მიწოდების შემცირებით უპასუხებენ. პარალელურად ავტოინდუსტრიის წარმომადგენლები საქართველოში ფასების შემცირებასაც ელიან. მათი განმარტებით, ამის მიზეზი ავტომობილების ჭარბი მიწოდება და ბაზრის გაჯერებაა.

„2022 წელს იყო არაპროგნოზირებადი ვითარება და ფასების პროგნოზირებაც ჭირდა. ბაზარზე ავტომობილების ჭარბი მიწოდება დაფიქსირდა. შედეგად, მართალია, დიდ კომპანიებს არ შექმნიათ პრობლემა, თუმცა მცირე კომპანიების ნაწილი დაბარალდა. მათ მოიზიდეს ინვესტიციები, ჩამოიყვანეს მანქანები, მაგრამ რეალიზაცია უჭირთ, რადგან ბაზარი გაჯერებულია. ჭარბი მიწოდების პირობებში, ფასები, რა თქმა უნდა, დაიწევს, ამით მომხმარებლები ისარგებლებენ“, – აღნიშნა Lion Group-ის საოპერაციო დირექტორმა **იოსებ ბორცვაძემ**.

მისივე განმარტებით, მეორად ავტომობილებზე ბოლო ათწლეულია მოთხოვნა ყოველწლიურად მზარდია.

„ბოლო წლების განმავლობაში, ძალიან გაზრდილია მოთხოვნა მეორად ავტომობილებზე. წელს დაემატა რამდენიმე ახალი ქვეყანა, სადაც რეექსპორტს ვახორციელებთ, მათ შორის ყირგიზეთი, ყაზახეთი. საქართველო ავტომობილების ექსპორტის კუთხით, რჩება ძირითად ჰაბად და ეს მოცემულობა, ვფიქრობ, წლების განმავლობაში შენარჩუნდება“, – აღნიშნა იოსებ ბორცვაძემ.

ბექა დანელია

როდის იქნება სამგზავრო მატარებელი ბაქო-თბილისი-ანკარა?!

აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის დედაქალაქებს შორის, შესაძლოა, სამგზავრო ჩქარობსნული მატარებლის გადაადგილება დაიწყოს, – ამის შესახებ სს აზერბაიჯანის რკინიგზის მგზავრთა ტრანსპორტირების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აზერ ფარაჯოვმა ადგილობრივ მედიასთან განაცხადა. ფარაჯოვის თქმით, საუბარი შეეხება საძილე ტიპის სამგზავრო მატარებელს, რომლის მწარმოებელიც შტადლერ Stadler Rail Group-ია.

თბილისსა და ბაქოს შორის სამგზავრო სარკინიგზო გადაადგილება ამ ეტაპზე შეჩერებულია აზერბაიჯანის მხრიდან კორონავირუსთან დაკავშირებული კარანტინის გამო. აღნიშნული შეზღუდვა ბაქომ უკანასკნელად მიმდინარე წლის ივნისში გაახანგრძლივა 2 ოქტომბრამდე.

ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა მხოლოდ საჰაერო გზით ხორციელდება.

სამ ქვეყანას შორის მგზავრთა რკინიგზით გადაადგილება მხარეებმა შარშან აგვისტოშიც გააუღერეს თბილისში შეხვედრისას. როგორც თურქეთის იმდროინდელმა ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ადილ კარაისმაილოღლუმ განაცხადა, „ჩვენ ყოველთვის ტვირთის გადაადგილებას განვიხილავთ. რატომ არ უნდა განვიხილოთ მგზავრთა ტრანსპორტირება, როდესაც უახლოეს წლებში ამისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა იქნება?!“

საქართველოდან თურქეთში სარკინიგზო მიმოსვლა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალით ხორციელდება, რომლის მშენებლობა 2010 წელს დაიწყო და 2017 წელს ოფიციალურად გაიხსნა. რკინიგზის სიგრძე 829 კმ-ია, საიდანაც 504 კმ აზერბაიჯანის, 246 კმ საქართველოს, 79 კმ კი თურქეთის ტერიტორიაზე გადის.

ცნობილია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მოდერნიზაციის პროცესი 2024 წლის ბოლოს დასრულდება. სარკინიგზო მაგისტრალის საქართველოს მონაკვეთის რეკონსტრუქციის დასაჩქარებლად ბაქომ ორიოდე თვის წინ ახალი კონტრაქტორები მიიზიდა და დამატებითი დაფინანსებაც კი გამოყო.

ეს სამუშაოები მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე მიმდინარეობს, რომელიც ექსპლუატაციაში ასევე 2017 წელს შევიდა. რკინიგზის ეს მონაკვეთი მთიანი და ტყიანი უბნების რთულ რელიეფზე გადის.

ვისი ვალი აქვს საქართველოს?

საგარეო ვალი 8.51 მილიარდი დოლარია

2023 წლის ივლისში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა დოლარებში 8.51 მილიარდი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 610 მილიონი დოლარით მეტია, თუმცა, დოლართან და ევროსთან ლარის გამყარების გამო ერთვნულ ვალუტაში გამოსახული ვალის მოცულობა 22.27 მილიარდი ლარია, რაც წლიურად 880 მილიონი ლარით არის შემცირებული.

საქართველოს საგარეო ვალში პირველ ადგილზე აზიის განვითარების ბანკის სესხია, რომლებიც ქვეყანამ უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის აიღო.

მეორე ადგილზეა მსოფლიო ბანკის ჯგუფი, რაც ასევე ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხმარდება, მესამე ადგილზე კი ევროპის საინვესტიციო ბანკია.

დონორების რეიტინგი ასეთია:

- **ADB – 2.14 მილიარდი დოლარი;**
- **მსოფლიო ბანკის ჯგუფი – 2.02 მილიარდი დოლარი;**
- **EIB – 1 მილიარდი დოლარი;**
- **საფრანგეთი (AFD) – 728 მილიონი დოლარი;**
- **გერმანია (KFZ) – 620 მილიონი დოლარი;**
- **მთავრობის ევრობონდი – 500 მილიონი დოლარი;**
- **IMF (ეროვნული ბანკის ვალი)– 415 მილიონი დოლარი;**
- **EBRD – 235 მილიონი დოლარი;**
- **AIIB – 202 მილიონი დოლარი;**
- **IMF (მთავრობის ვალი) – 195 მილიონი დოლარი;**
- **იაპონია – 140 მილიონი დოლარი;**
- **EU – 145 მილიონი დოლარი;**
- **IFAD – 37 მილიონი დოლარი;**
- **რუსეთი – 18.7 მილიონი დოლარი;**
- **ავსტრია – 13.6 მილიონი დოლარი;**
- **ქუვეითი – 12 მილიონი დოლარი;**
- **ამერიკის შეერთებული შტატები – 10.4 მილიონი დოლარი;**
- **CEB – 9 მილიონი დოლარი;**
- **თურქეთი – 5.3 მილიონი დოლარი;**
- **ყაზახეთი – 3 მილიონი დოლარი;**
- **აზერბაიჯანი – 2.7 მილიონი დოლარი;**
- **სომხეთი – 2.4 მილიონი დოლარი;**
- **ირანი – 2 მილიონი დოლარი.**

„კომერსანტი“

ამერიკის ხელისუფლება „ოცნების“ მტერია!

პირდაპირ ვაცხადებ: იგეგმება სახელმწიფო გადატრიალება!

სოსო შატბერაშვილი:

პოლიტიკურად ცხელი დღეები დგას საქართველოში. წინ დიდი გამოწვევებია და ამ ვითარებაში ჩვენი ქვეყანა აქტიურად ემგზავრება უახლოეს პერიოდში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად.

რა პროგნოზები არსებობს ჩვენი მომავლის განსასჯელად, რა საფრთხე ემუქრება ჩვენს სახელმწიფოებრიობას?

ამ საკითხებზე გვესაუბრება „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი, ბატონი სოსო შატბერაშვილი.

– გატონო სოსო, მას შემდეგ, რაც თქვენი და „ლეიბორისტული პატიის“ გზები გაიყო, ბატონი შალვა ნათელაშვილი არ ცხრება და ცდილობს ახალი „პოლიტიკური მწვერვალები“ დაიპყროს. შეძლებს ის მიზნების მიღწევას?

– ნათელაშვილი აღარ არის ისეთი ფიგურა, მასზე ბევრი რომ ვილაპარაკოთ, თუმცა, მოკლედ მაინც გიპასუხებთ.

2012 წელს პარტიის თითქმის მთელმა პოლიტიკურმა ჯგუფმა დავტოვეთ „ლეიბორისტული პარტია“ და შალვა ნათელაშვილი პოლიტიკურ კორუფციასა და მევახშეობაში ვამხილეთ, რადგან დადასტურებულად ვიცოდით, რომ ქალაქ ვენაში ჰქონდა ბინა, აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში სამსართულიანი სახლი, რომელსაც ახლახან აპარტამენტები მიუმატა ფლორიდაში. მე მაშინ მას წარვუდგინე დამადასტურებელი ფოტოები და განრისხდა შალვა – მიგონებთო, უარყო ყველაფერი, მაგრამ ახლა ნახეთ: რამდენიმე დღის წინ ის იმყოფებოდა ნიუ-იორკში, სადაც ესტუმრა ქალაქის ერთ უბანს ჰუძონის ნაპირას, დადგა შუა ქუჩაში და განაცხადა: ეს არის ამერიკელი მილიონერების და მილიარდერების უბანი, ეს კი გახლავთ ბიძინა ივანიშვილის სასახლე. ვიღაცები მე მაბრალებენ, ნიუ-იორკში სახლი აქვსო და აი, შეხედეთ, მე კი არა, ბიძინა ივანიშვილს აქვს აქ 8 მილიონად ნაყიდი სახლი მაშინ, როცა საქართველოში ბავშვები შიმშილობენ და ჩვენი მოქალაქეები შრომით ემიგრაციაში მიდიან. ადგეს და ამ სასახლის პირველი სართული ემიგრანტებს გამოუყოს, მადლის გაკეთება თუ უნდაო.

ასეთი დემაგოგიური გამოხდომები მისთვის უცხო არ არის, მაგრამ რატომ ჰგონია ვინმე სულელი – თვითონაც ხომ აქვს სახლი ვენაში, ნიუ-იორკში, ფლორიდაში, თავად რატომ არ აკეთებს ასე?

ბიძინა ივანიშვილი ვახსენე და მის ნათქვამს გავიმეორებ: შალვა ერთადერთი ადამიანია, რომელიც ხელისუფლებაში, მაღალ თანამდებობაზე არ ყოფილა, ისე გახდა მილიონერი.

ნათელაშვილმა პოლიტიკა სავაჭრო დახლზე დადო – მეორე მოწვევის საკრებულოში, როცა არჩევნებით პირველ ადგილზე გავედით, მოგეხსენებათ, მან გაყიდა ეს გამარჯვება.

– რა თანხად გაყიდა, ბატონო სოსო?

– 2002 წელს, არჩევნების შემდეგ, 350 000 დოლარი მას ერთმა აწ გარდაცვლილმა პოლიტიკოსმა მიუტანა, რომელმაც მაშინ დამიდასტურა: ეს ჩემი იდეა იყო, ვიცოდი, რომ შალვა ფულის სანაცვლოდ დათმობდა ადგილსო და ასეც მოხდა.

ნათელაშვილი კი ამბობდა: მიგონებენ, ცილს მწამებენ, მე მინდა, ხალხს ვაჩვენო, რომ ლეიბორისტებს სკამები არ გვჭირდება; ამით მეტ ავტორიტეტს მოვიხვეჭთ და საპარლამენტო არჩევნებში მეტ ხმებს დავაგროვებთო.

2007 წელს ბატონმა შალვამ მილიონი დოლარი აიღო ვანო მერაბიშვილის ნათესავის – ვინმე თედორაძის საარჩევნო სიაში ჩაწერისთვის.

პოლიტიკაში ხდება ხოლმე, ბიზნესმენს ჩაწერენ სიაში, რომ დააფინანსოს საარჩევნო კამპანია, მაგრამ როცა მერაბიშვილის ნათესავს წერ სიაში, ეს უკვე არის ღალატი და კოლაბორაცია მტერთან.

რაც შეეხება 2012 წლის არჩევნებს, ასევე მერაბიშვილის საშუალებით, ისრაელის მოქალაქე ვინმე ანატოლი მოტკინისგან მიიღო 5 მილიონი და განაცხადა: 2008-ში არ ვებრძოდი ოლიგარქს, ახლა ვებრძვი და ამ ბრძოლაში 5 მილიონი მჭირდებიო. მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რომ ეს 5 მლნ შალვამ საარჩევნო კამპანიას კი არ მოახმარა, არამედ წაიღო სახლში და დაიწყო ამ ფულის გაპროცენტება. ეს რომ ვუთხარით სხდომაზე, მან გვიპასუხა: რა ვქნა, ჩემი ცოლი აპროცენტებს, ქალია და ხომ არ მოვკლავო?! კაცი რომ თავის დანაშაულს ცოლს გადააბრალებს, იმ კაცზე აღარ მინდა ლაპარაკი. ამ ფულით იყიდა შემდეგ ბინა ვენაშიც, ნიუ-იორკშიც და ფლორიდაშიც.

– რატომ ყიდულობს ამ სახლებს, საქართველოში ცუდ ამბებს ელოდება თუ თვითონ აღარ დაედგომება აქ?

– არ მალავს, ერთხელ თქვა კიდევაც: არ მღებულობს ქართველი ამომრჩეველი, განსაკუთრებით ინტელიგენციისთვის ვარ მიუღებელიო. ასეც არის, ის ყოველთვის ბინძური სიტყვებით ლანძღავდა ქართველ ინტელიგენციას; ამიტომო, მე ემიგრაციაში წავალ მეუღლესთან ერთად, ყოველთვის ვოცნებობ იმ პერიოდზე, როცა მე და ჩემი ბელა ემიგრაციაში ვიქნებით და თავიდან მოვიცილებ იმ ტვირთს, რაც მხრებზე მაწევსო.

ასეა, გაჭირვებულ ოჯახში გაზრდილი ადამიანები რომ ფულს იშოვიან, სწორედ ისინი ხდებიან შემდეგ გაუმაძღრები, ღორდებიან და შალვა ნათელაშვილიც გახდა „პოლიტიკური ღორი“.

– რა გვიკვირს შალვა ნათელაშვილის, როცა სააკაშვილის ლობისტობაში, ფინანსური დაინტერესებით, მსოფლიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები ყოფილან ჩართულნი?..

– განსხვავება იცით, რაშია? სააკაშვილი თუ იხდის ფულს, ის არც მალავს, არც თანაპარტიელებს უმალავდა თავის დროზე, ახლაც აღიარა დედამისმა და არჩევნების დროსაც ამბობდა, ვიხდი ფულს ლობიზმშიო. შალვა მალავდა ყველაფერს.

– ახლა ვიღას ენდობა სააკაშვილი, ყველა განუდგა თითქმის.

– რომ არ ენდობა, აქვს ამის საფუძველი, მის გარემოცვაში არა ერთი და ორი მოღალატე აღმოჩნდა.

სააკაშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას: თუ ვინმე იყო მის გუნდში და მის გვერდით, თავად ყველაფერს აკეთებდა, რომ დაეწინაურებინა ისინი. გახსოვთ, როგორ არაკომპეტენტურ პირებს ჩააბარა მინისტრების პორტფელები. მაგალითად, ოქრუაშვილს, რომელმაც მერე უღალატა მას. უზნეო და გათახსირებული აღმოჩნდა ოქრუაშვილი. მაშინ კი მიხაროდა, ციხე რომ შიგნიდან გატყდა, მაგრამ კაცური პოზიციებიდან გამომდინარე, ძალიან ცუდად მოიქცა ოქრუაშვილი. გენერალური პროკურორობის დროს მან ბიძაც კი დაუჭირა სააკაშვილს – თემურ ალასანია დააპატიმრა.

ოქრუაშვილის გარდა კიდევ რამდენმა უღალატა, თვლა აღარ აქვს უკვე მათ რიცხვს.

– ისე, ზვიად გამსახურდიასაც უღალატა მისმა გარემოცვამ, შევარდნაძესაც, სააკაშვილსაც, ბიძინა ივანიშვილის მიერ რეკომენდაციამიცემულმა ძალიან ბევრმა ადამიანმა ზურგი აქცია მას; რას ნიშნავს ეს, კადრები არ გვყავს, ვერ არჩევენ ამ კადრებს თუ ღალატი უკვე ხასიათია?

– უფრო შორიდან აღარ მოვყვები, გურამ ამსანძეს გავიხსენებ: როცა ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთში იყო დევნილობაში, სწორედ აგენტმა ამსანძემ დაარწმუნა, ჩამოდი საქართველოში და ხალხი ზარ-ზეიმით დაგხვდებაო. გამსახურდიას სწამდა, რომ მოღალატე ამსანძე იყო ერთგული, ასევე ეგონა, რომ კიტოვანიც და სიგუაც მისი ერთგულები იყვნენ.

– ასეთი გულუბრყვილო იყო გამსახურდია?

– კი, გულუბრყვილო იყო; ქვეყანა, ერი უყვარდა, მაგრამ გულუბრყვილო კაცი იყო. მაგრამ გამსახურდიასგან რა გვიკვირს, როცა გაქნილმა შევარდნაძემაც ვერ გათვალა, რას უმზადებდნენ მის მიერ გამოზრდილი საკაშვილი და ჟვანია.

– „შენაც, ბრუტუს“?

– კი, კი, კეისარს სხვების ღალატი არ გაკვირვებია, ბრუტუსმა რომ ჩაარტყა, ამას არ მოელოდა. არც შევარდნაძე მოელოდა ჟვანიასგან – არასამთავრობო ორგანიზაციიდან მოყვანილი ბიჭისგან, მიშასგან – ამ ცხვირმოუხოცავი აყლაყუდასგან, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერად დანიშნა და მერე – იუსტიციის მინისტრად.

ამათი ხელიდან საშინელ სასჯელს შევარდნაძე გადაურჩა იმით, რომ გერმანიის და აშშ-ის მაღალი თანმდებობის პირები დაუდგნენ თავდებად.

მაგრამ ბიძინა ივანიშვილს რომ ღალატობენ, ეს არის ღალატის კლასიკური ნიმუში. ვისაც არ ეზარება, ყველა ღალატობს – არარაობა კაცი, რომელიც ამბობდა, პლასტელინი ვარო და იცოდა მხოლოდ ქსოვა, ივანიშვილის თხოვნით ავირჩიეთ პრეზიდენტად. მარგველაშვილმა კი, რაც პირველი გააკეთა, იყო ის, რომ ბიძინა ივანიშვილს განუდგა, შევიდა სააკაშვილის რეზიდენციაში, რომელსაც ადრე „გარყვნილების ბუნაგს“ უწოდებდა და თუკი არჩევნებამდე ბატონი ბიძინათი მიმართავდა, არჩევიდან მეორე დღესვე ბიძინა, ბიძინაო, იძახდა.

გახარიამ ხომ საერთოდ ყოველგვარი რეკორდი მოხსნა, როცა განაცხადა: ჩრდილოვანი გზით იმართება ქვეყანაო. უნამუსო უნდა იყო, ეს რომ თქვა, რადგან დანამდვილებით ვიცი, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკა არ აინტერესებს და არც არასდროს აინტერესებდა.

„ქართული ოცნების“ წევრი არასდროს ვყოფილვარ, არც ვარ და არც არასდროს ვიქნები, მაგრამ არ შეიძლება ამ ადამიანს მადლობა არ ვუთხრათ, რომ ეს სისხლიანი ტერორისტი სისხლისღვრის გარეშე მოგვაცილა და დიდი მცდელობების მიუხედავად, აგერ უკვე ათეული წელია, ვეღარ ბრუნდება ხელისუფლებაში,

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს. ეს სულ სხვა „ფენომენია“. მიხეილ სააკაშვილი პირადად ჟაკ შირაქთან შევიდა სალომე ზურაბიშვილი რომ „გადმოეცა“. ზურაბიშვილი მაშინ საფრანგეთის ელჩი იყო საქართველოში. ჩამოიყვანა და მინისტრად დანიშნა. შემდეგ ყველას გვახსოვს, იპოდრომზე ზურაბიშვილმა რომ თქვა: ქაჯები კი არ მიდიან, ქაჯები მოდიანო და სააკაშვილს მტრად გადაეკიდა...

გაიხსენეთ, რამდენჯერ უღალატა ბიძინა ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილმა.

ასე რომ, ძალიან ძნელია მოძებნო ერთგული და კომპეტენტური კადრები, ამას დიდი გულთმისნობა სჭირდება, ალბათ. აგერ, მარგველაშვილსაც აუღია ფული სააკაშვილის ლობისტობაში.

სერიოზული პოლიტიკური კორუფციაა გამეფებული საქართველოში.

– „ფარას“ კანონიც ფულის, ანუ უცხო ქვეყნებიდან დაფინანსების წყაროების გამოააშკარავებას ითვალისწინებდა, რომელსაც რატომღაც რუსული კანონი დაარქვეს და საქმე იქამდეც მივიდა, რომ კინაღამ გადატრიალება მოხდა.

– მაშინ დამხობას გადაურჩა ხელისუფლება. ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ყმუილი და წიოკი ატეხეს რუსულ კანონს იღებს ხელისუფლებაო, მათგან არ მიკვირს, უზარმაზარი ფული შემოსდით გიგაურებს, ნაცვლიშვილებს, ნატა ფერაძეებს და სხვებს, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, ჩემო ირანდა, რომ იმ დღეებში აშშ-ის ელჩმა თქვა: დღეს საქართველოს დემოკრატიას შავი დღე გაუთენდაო. ამერიკაში რომ იღებდნენ ამ კანონს, მაშინ რატომ არ გაუთენდათ სავალალო დღე?! ეს კანონი მათ 1938 წელს მიიღეს და შეხედეთ, რამხელა შეთქმულებასთან გვაქვს საქმე საქართველოს წინააღმდეგ?!

თუ კანონი 1938 წელს მიიღეს და მოძველებულია, ახლა რატომ აქვეყნებს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი ამ კანონზე დაყრდნობით ანგარიშებს. გამოდის ის, რომ მათთვის შეიძლება ამ კანონის განხორციელება, ჩვენთვის – არა, ანუ „რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს“, ე.ი. თქვენ ვინ ხართ, საერთოდო. არის თუ არა ეს ნეოკოლონიალიზმი?

– ამ დღეებში „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ თქვა: საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგასო. კიდევ არეულობა ხომ არ არის მოსალოდნელი?

– პირდაპირ ვაცხადებ: საქართველოში მზადდება ხელისუფლების დამხობა. ეს ხელისუფლება აშშ-ის დღევანდელ ადმინისტრაციას სძულს და ყველაფერს გააკეთებს აშშ და ბაიდენი, რომ დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება დაამხონ, რადგან არ გახსნა მეორე ფრონტი, ლგბტ პირებს არ მიეცათ საქართველოში ჯირითის საშუალება.

აშშ-ის ადმინისტრაცია ქართული ხელისუფლების მტერია.

– ამ შემთხვევაში თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ხელისუფლების ოპოზიციაში არ იყოთ.

– მე სააკაშვილის ხელისუფლების მტერი ვიყავი, მაგრამ სააკაშვილი მეცოდება ამდენი მოღალატის ხელში. გააბრიყვეს, შემოიტყუეს და ჩასვეს ციხეში. ვიღაცამ დააჯერა: შენ ჩამოდი, მილიონი ადამიანი გამოვა ქუჩაშიო. ჩამოვიდა სიცილ-კისკისით, მაგრამ დავინახეთ, როგორ გააგდებინეს ხელიდან ხინკალი და დაადეს ბორკილები.

დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციაში კი ვარ, მაგრამ არ მინდა, რომ ის დაემხოს. 2012 წელს საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების მერე მოხდა პირველი პრეზიდენტი – არჩევნებით შეიცვალა ხელისუფლება და ასე უნდა მოხდეს ახლაც, არადა, კიდევ ვიმეორებ და ვაფრთხილებ ხელისუფლებას: იგეგმება სახელმწიფო გადატრიალება!

– განგებამ არ ქნას და თუ ასე მოხდა?

– ხალხი უნდა გამოვიდეთ ქუჩაში და დავიცვათ ხელისუფლება, თორემ ეს იქნება ჩვენი ქვეყნისთვის ყოფნა-არყოფნის საფრთხე, რაც სულ არ აწუხებს არასამთავრობოებს და ნაცგამყიდველებთან შეკრული ე.წ. ოპოზიციური პარტიების ოლიგარქებს, ცალ-ცალი კალოშით ხელისუფლებაში მოსული კეზერაშვილის მსგავსად, რომლებიც ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერის სურვილით, საქართველოს ფეხებზე დაიკიდებენ და კიდევ ერთხელ მოითბობენ ხელს ამ ქვეყნის უბედურებაზე.

ესაუბრა

ირანდა კალანდაძე

ნინო ჩხობაძე:

გაფრთხილების მოწყობილობა მხოლოდ დევდორაკზე და ვერეს ხეობაზე გვაქვს!

გიორგი გოცირიძე:

სამწუხაროდ, ფრონტის ხაზზე ვართ, დევდორაკის მერე დაიწყო კლიმატის კიდევ უფრო დათბობა!

რა მოხდა შოვში და რა გახდა ამხელა სტიქიური უბედურების მიზეზი? 3 აგვისტოს შემდეგ ეს კითხვები სპეციალისტების გარშემო უკვე რამდენიმე დღეა ისმება...

იყო თუ არა ამხელა მსხვერპლის თავიდან აცილების შესაძლებლობა?! პოლიტიკური სპეკულაციების ფონზე სპეციალისტები ამბობენ, რომ შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების მსგავსი ღვარცოფული მოვლენა არ ახსენდებათ. გეოლოგები, ჰიდროლოგები, გეომორფოლოგები და გლაციოლოგები სტიქიური უბედურების მთავარ მიზეზად კლიმატურ ცვლილებას ასახელებენ და თანხმდებიან, რომ საპურორტო ზონაში ტრაგედია 5 ბუნებრივი მოვლენის თანხვედრამ გამოიწვია.



წინასწარი გათვლებით ღვარცოფს შოვში 8-10 წუთში უნდა მიეღწია. ამ მოვლენების შეჩერება ან წინასწარ რეაგირება, როგორც სპეციალისტები ამბობენ, შეუძლებელი იყო. მათი თქმით, ეს არის მიწისძვრის მსგავსი სტიქიური უბედურება, რომლის პროგნოზირებაც შეუძლებელია!

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების პირველადი დასკვნა უკვე გასაჯაროვდა. 11-გვერდიანი დოკუმენტი სპეციალისტებმა, სტიქიის ზონაში რამდენიმედღიანი მონიტორინგის შედეგად მოამზადეს.

დასკვნა კი ასეთია, რომ მოხდა მყინვარის ინტენსიური დნობა, ნალექები წვიმის სახით, სათავეებში კლდე-ზვავის ჩამოშლა, მეწყრულ-ეროზიული პროცესები და ღვარცოფის გავლა – გარემოს დაცვის სპეციალისტების შეფასებით, ამ ერთობლივი მოვლენების წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელი იყო. უნიკალური კურორტი შოვის განადგურება და ღვარცოფული ნაკადის ეპიცენტრამდე რამდენიმე წუთში ჩამოსვლა, მყინვარ ბუბას დაქანებამ გამოიწვია. სიჩქარე გაიზარდა და საკურორტო ზონა მიწის მასით რამდენიმე წუთში დაფარა.

გლაციოლოგების შეფასებით, ჭანჭახზე არსებული დაკვირვების პუნქტმა აჩვენა, რომ ბუბისწყლის ხეობაში წყლის დონე არ დაწეულა, შესაბამისად, არც მისი ხანგრძლივი დაგუბება მომხდარა.

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი **ნინო ჩხობაძე** ამბობს, რომ დასკვნის მიხედვით მეწყერის ჩამოწოლა ერთდროულად 5-მა მოვლენამ გამოიწვია. ჩხობაძე ამბობს, რომ ეს იყო ღვარცოფი, რომელიც კლდეზვავის, მყინვარის მოწყვეტის, ეროზიული პროცესის და მეტეოროლოგიური პროცესის შედეგად განვითარდა, როცა ასევე დიდი ნალექი მოედინება.

„კავკასიის თოქმის ყველა მდინარე ღვარცოფულია. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ის, რომ ამ შემთხვევაში, მოვლენები რაჭაში როცა განვითარდა, ერთდროულად 5 მოვლენა მოხდა. ასეთ დროს ძალიან ძნელია განსაზღვრო, რომელი იყო პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე. თვითმხილველები და გადარჩენილები ყვებიან, რომ ტალახს სიცივე მოჰყვებოდა, ეს ნიშნავს იმას, რომ მყინვარმა წამოიღო წყალი, რომელიც მის ქვეშ იყო დაგუბებული. სიცივე აქედან მოდის და ფაქტი ისაა, რომ წინა დღეს და მანამდე ძალიან დიდი ელვა და წვიმა დასტურდება ზედა ნაწილში. თვითონ ბუბას ხეობა ძალიან დიდი დახრილობით გამოირჩევა, ამიტომ შეგროვებული ღვარცოფის ნაკადი დაქანებულ რელიეფზე ძალიან დიდი სისწრფით წამოვიდა. ეს ყველაფერი მაქსიმუმ ნახევარ საათში ყალიბდება.

ყველა შენაკადი ბუბაში უკვე ადიდებული იყო და ამხელა ნალექი იმიტომ იყო წამოსული. რაც შეეხება დასკვნაში მოცემულ 8 დან 10 წუთამდე პროცესების განვითარებას, კი ბატონო, ასეთი სისწრაფით მოვლენები ნამდვილად განვითარდებოდა. ამ დროის განმავლობაში მოასწრებდა ადამიანი გაქცევას, ოღონდ თუ იცის საით გაიქცეს. თუ არ იცის, ძალიან გაუჭირდება თავის გადარჩენა. თუ მას არა აქვს შესაბამისი ინსტრუქტაჟი ეს საფრთხე საიდან მოდის, საით არის გაქცევა უსაფრთხო და თუ ვინმე რუპორით არ დგას, არ ყვირის გაიქეცით აქეთ ან იქით, უცბად შეიძლება ადამიანი გაშეშდეს. თუ ასეთ ტურისტულ ადგილას იქნებოდა ევაკუაციის სისტემა, უფრო მეტი ადამიანის გადარჩენა იქნებოდა შესაძლებელი. თუმცა პროცესები იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ ასეთი რამის პროგნოზირება ძალიან რთულია“, – ამბობს ჩხობაძე.

მისივე თქმით, გაფრთხილების მოწყობილობა, საქართველოს ყველა მდინარეზე არ გვაქვს დაყენებული. ეს მხოლოდ ორ ადგილას – დევდორაკის და ვერეს ხეობაზე გვაქვს. შეტყობინების სისტემის არსებობა ყველა მსგავს კურორტზეა აუცილებელი.

„60-იან წლებში ამ მდინარის კალაპოტია შეცვლილი და შემდეგ არის ეს კოტეჯები აშენებული. ვნახეთ, რომ ზუსტად, როცა ეს მეწყერი ჩამოწვა, მდინარემ თავისი ძველი კალაპოტი დაიკავა. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, რომ მაშინ მდინარეს კალაპოტი შეუცვალეს. ახლა პირველი რიგის ამოცანა უნდა იყოს, რომ სადაც ასეთი ტურისტული რეკრეაციული ზონები გვაქვს, ყველგან უნდა იყვნენ მაშველები. ყველგან უნდა იყოს დატრეინინგებული თანამშრომლები, მოხალისეების ჯგუფები, რომლებსაც პირველადი დახმარება შეუძლიათ. ეს მთელს საქართველოშია გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ასეთი ღვარცოფული მდინარეები ყველგან გვაქვს. ჩვენს კავკასიონზე ასეთი მევრია. მეორე – აუცილებელია, რომ როცა მუნიციპალიტეტი დოკუმენტს იღებს, მას ადგილზე ჰყავდეს სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია რაღაცის წაკითხვა და საფრთხის გარკვევა. ყველა საკურორტო ზონისთვის სცენარები უნდა იყოს გათვლილი, რათა ასეთ დროს, ხალხმა თავი ტყეს შეაფაროს და დროულად გაიქცეს“, – ამბობს ჩხობაძე.

* * *

გეოგრაფი **გიორგი გოცირიძე** ამბობს, რომ ამ ცოდნით, რაც ამ სტიქიის ირგვლივ დღეს არსებობს, ერთადერთი რჩება დასაზუსტებელი წყლის ფორმირება და ამხელა მასის დაძვრა როგორ მოხდა, იმის გარკვევა. გოცირიძე For.ge-სთან ამბობს, რომ ეს არის კლდე-ზვავის ჩამოწოლა, როგორი პროცესიც დევდორაკის ჩამოწოლის დროს მოხდა.

„დრამატული თვისებები, რომელიც მოლო 20 წელი მხოლოდ დრამატულ ხასიათს ატარებდა, დღეს უკვე ქრონიკული ხდება. კლიმატის ცვლილების და გლობალური დათბობის გავლენა ჩვენს ქვეყანაში ძალიან დიდია. ჩვენს ქვეყანაში ჭრელი და მრავალფეროვანი ლანდშაფტია. ჩვენ რომ გვიხარია ყველა ზონა გვაქვს, ჯერ ვისრიალებთ და მერე უცბად ზღვაში ვმაანობთ, აი, ამაში ფასის გადახდა გვიწევს. ეს გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება კი ჩვენს ქვეყანაზე ყველაზე მეტად მოქმედებს. ჩვენი ერი, სამწუხაროდ, ამ ფრონტის ხაზზე ვართ.

ამიტომ დევდორაკის მერე დაიწყო კლიმატის კიდევ უფრო დათბობა და კლიმატის ცვლილების სწრაფ დინამიკას ვხედავთ. ეს კი დაკიდებულ მყინვარებს პირდაპირ ურტყამს. თითო ზაფხულში, ცხელ დღეებში, შესაძლოა 10 და 15 წლის დასაკარგი რესურსი დაკარგონ. ეს დნობა უფრო ნელ-ნელა ხდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამის მომენტი მოვა, მაგრამ როდის, ესეც რთული დასადგენია. სამწუხაროდ, ამ ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა რა არის გასაკეთებელი. სხვა რისკზონები გვაქვს სვანეთში, ლენტეხში, რაჭაში და ნელ-ნელა დევდორაკი მატულობს ისევ და ახალი აფეთქებები დასავლეთში ჩნდება. ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებმა უნდა ვთქვათ, რომ უკვე საქმე ქრონიკულ ფენომენთან გვაქვს“, – ამბობს გეოგრაფი.

მისივე თქმით, აქ პრობლემა იმაშია, რომ სადღაც რაღაცა ვარდება, ის გრძელ მანძილს გადის და ჩადის იქ, სადაც ადამიანები არიან. ეს კი ადრე არ ხდებოდა ამ მასშტაბით.

„აი, ამ ანომალური ფენომენის დროს, როცა ასეთი ვითარება უკვე ქრონიკულ სახეს იღებს, ის ტემპი, რაც აქამდე არსებობდა, შესაცვლელია. ამ ყველაფრის კონტროლის ჯაჭვი ჯერ არ არსებობს. განა იმიტომ, რომ ვიღაც ცუდად მუშაობს - არა, უბრალოდ, ასეთი ქრონიკული სახე ამ ყველაფერს არ ჰქონდა. ჩვენ ხომ გვაქვს რეფორმები, რომელსაც თან ვაკეთებთ, ესეც ამ რეფორმებს შორის არის. შეიძლება რაღაცებში წინ ვართ, მაგრამ ამ ნაწილში ჩამოვრჩებით. ეს პროცესი გადასააზრებელია და ძალიან მალე უნდა ავაწყოთ სისტემა. შესაძლებელია ყველა ამ ცუდი გაკვეთილის გააზრება და უნდა ავირჩიოთ ალგორითმი, რომელია და სად არის ყველაზე საგანგაშო ადგილები, სადაც უნდა ვიმოქმედოთ“...

ლიკა ბერიკაშვილი

(პირველი გვერდიდან)

თვითტრეფიკინგი, სარ ახრ ტრეფიკინგი და „გაცვეთილი საბურავების თაობა“

საზღვარგარეთ გამგზავრებისა და იქ სამუშაოდ დიდი ხნით დარჩენის გადაწყვეტილებას ქალი ხშირად უმძიმესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იღებს. „თვითტრეფიკინგი“ და „ოჯახური ტრეფიკინგი“ მაქვს მხედველობაში.

პირველ შემთხვევაში ქალი თავს ირწმუნებს, რომ წასვლა ოჯახის გადასარჩენადაა აუცილებელი, მეორეში კი, უკვე წასული, იმავე მიზეზით თავს დარჩენას აიძულებს. ოჯახური ტრეფიკინგი სხვა თემაა: ამ დროს ახლობლები მიგრანტზე იმდენად მძლავრ ფსიქოლოგიურ წნეხს ახორციელებენ, რომ იძულებულია, საზღვარგარეთ დარჩეს და გაუსაძლისი შრომა გააგრძელოს. ამის მაგალითად სტატიის დასაწყისში მოყვანილი ფაქტიც გამოდგება. მიგრანტების პრობლემატიკაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის მუშაკები ყოველდღიურ რეჟიმში ისმენენ ისტორიებს პრობლემებზე, რომლებსაც შრომითი მიგრანტი ქალები დაბრუნების შემდეგ აწყდებიან. საკმაოდ ხშირია, როდესაც ქმარი და მოზრდილი შვილები კისერზე წლობით ასხედან, მერე კი აღმოჩნდება, რომ გამოგზავნილი ფულით ნაყიდი მინა ქმარმა საკუთარ სახელზე გაიფორმა და მასში საყვარელთან ერთად მოიწყო ცხოვრება. რას აკეთებენ ამ დროს შვილები? რას და დედაში ფაქტობრივად, მხოლოდ ბანკომატს ხედავენ.

კიდევ ერთი ფაქტი: ქართველი ქალბატონი საბერძნეთში მუშაობდა და გამომუშავებულ ფულს თითქმის მთლიანად მეუღლესა და ორ შვილს უგზავნიდა. წლების შემდეგ, როდესაც საქართველოში დაბრუნდა, ქმარმა ოჯახში სხვა ქალი დაახვედრა; ვერც შვილებმა მიიღეს გაუცხოებული დედა. როცა ვერც ქმარს შეასმინა ვერაფერი და ვეღარც შვილებს, იძულებული გახდა, ისევ საბერძნეთში დაბრუნებულიყო. ამ ფაქტის შესახებაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში შევიტყვე. და სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი შემთხვევა არ არის.

აი, რას ამბობს ამ ორგანიზაციის კონსულტანტი **ციური ანთაძე:**

– მქონდა ასეთი შემთხვევა: ქალი თხუთეტი წლის შემდეგ დაბრუნდა და უკვე მოზრდილი შვილის გაუცხოება იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ ხელის მოკიდებაც კი პრობლემა იყო. გაუცხოება მაშინ ყალიბდება, თუ დედა შვილს პატარა ასაკში ტოვებს და დიდი ხნით მიდის. ამას ვერც თანამედროვე ტექნოლოგიები შველის (ვიდეოკავშირი მაქვს მხედველობაში). ყოველდღიური ცოცხალი ურთიერთობა და ფიზიკური კონტაქტი სულ სხვაა. ამასთანავე, შვილები ეჩვევიან, რომ დედა უპირობოდ აგზავნის თანხას და ეს მათთვის სავსებით ბუნებრივი ხდება. ასე ყალიბდება ე.წ. „ბანკომატი დედის“ სინდრომი, ანუ დედის მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება. სხვათა შორის, არა მარტო დედის მიმართ (ფულს მარტო დედები ხომ არ აგზავნიან!). სოფლებში უკვე მასობრივი გახდა სიტუაცია, როცა ოჯახის ზრდასრული წევრები (შვილებიც და ქმრებიც მყავს მხედველობაში) უარს ამბობენ დასაქმებაზე, იმიტომ, რომ საზღვარგარეთიდან ფულს რეგულარულად უგზავნიან. ეს პრობლემა უკვე დიდ ქალაქებშიც გაჩნდა. იმერეთში ტერმინიც კი არსებობს – „გაცვეთილი საბურავების თაობა“: მოიაზრება საზღვარგარეთ წასული დედების შვილები, რომლებიც გამოგზავნილი ფულით ნაყიდი მანქანებით ქუჩებში შეშლილებივით დაჰქრიან. უამრავი ქალი წლობით შრომობს, აგზავნის ფულს, მაგრამ როდესაც ჩამოდის, ვალებში ჩაფლული ოჯახი ხვდება. იცით, რატომ? იმიტომ, რომ გამოგზავნილ იოლ ფულს ოჯახი იოლად ფლანგავს და კრედიტებსაც იღებს. ქალი ოჯახის მიერ აღებული კრედიტების მონა ხდება, ანუ იძულებულია, ემიგრაციაში დარჩეს და ფულის გამოგზავნა გააგრძელოს...

ბანკომატი ქალების სინდრომი,

ანუ ვინ გადაუხდის მადლობას საშოვრიდან დაბრუნებულ „ქართველის დედას“...

მხოლოდ ციფრები: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2019 წელს საქართველოში 1 მლრდ 753 მლნ დოლარის ფულადი გზავნილები გადმოირიცხა; 2020 წელს – 1მლრდ 886 მლნ, 2021 წელს – 2 მლრდ 350 მლნ, 2022 წელს კი – 4 მლრ 372 მლნ აშშ დოლარი...

ეს ციფრები გვაჩვენებს, რომ გამომგზავნებმა არცთუ ურიგო ინვესტიცია შეიტანეს საქართველოს ეკონომიკაში, რაც თუნდაც ლარის კურსზე პოზიტიურად აისახა. ცალკე თემაა სოციალური ლანდშაფტის გაუმჯობესება: გზავნილების გარეშე სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა. კარგი იქნებოდა კვლევის ჩატარება იმის დასადგენად, რამდენს შეადგენს ქალთა გზავნილების წილი შრომით მიგრანტთა მიერ გადმორიცხულ თანხებში, რაც უამრავ გენდერულ დეტალს მოჰფენდა ნათელს. თუნდაც უცხოეთში გამგზავრების რომელი მიზანი იყო პრიორიტეტული ქალთა ან მამაკაცთა შემთხვევაში – ოჯახის რჩენა, თუ საკუთარი ცხოვრების მოწყობა?

„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“

საქართველოში მამაკაცთა უმრავლესობა დღესაც პატრიარქალური ოჯახის მომხრეა. პატრიარქატი კი ოჯახის მარჩენალად მამაკაცს განიხილავს. ჩნდება კითხვა: თუ ასე მსჯელობენ, რაღატომ უშვებენ უცხოეთში ცოლებს, იმის მაგივრად, რომ თავად წავიდნენ და, პატრიარქალური წესის თანახმად, ოჯახი შეინახონ?

აი, რას ამბობს ამის შესახებ დევნილთა და სოციალურად დაუცველთა ორგანიზაცია „თანადგომის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი **ნინო პეტრაცხელია:**

– ვერ აბიჯებენ თავის თავს, არ კადრულობენ... „აბა, სხვის მოსამსახურედ ყოფნა რა ვაუკაცობაა? ქალს კი რა უჭირს, ისედაც ხომ მოსამსახურეაო!“ – ასე მსჯელობენ. ერთხელ ორგანიზაციის მუშაკები ვეკითხებით მამაკაცს, რომელსაც ცოლი საშოვარზე ჰყავდა გაშვებული, რატომ გაუშვა ქალი და არ წავიდა თვითონ. ასეთი პასუხი მივიღეთ:

„შენ ვინ ხარ ჩემს საქმეში რომ ერევი? აქ მონიტორინგისთვის დაგაყენეს და ამ საქმეს მიხედე! ჩემს ცოლს სად გავუშვებ, შენი საქმე არ არისო!“.

ამ დროს ცოლის გამოგზავნილი ფულით ძმაკაცებს ლუდით, არყითა და თევზით უმასპინძლდებოდა, არც ქალებში სიარულს იკლებდა და მისი აზრით, ამის სრული უფლება ჰქონდა – „კაცი ვარ და

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2019 წელს უცხოეთიდან საქართველოში 1 მლრდ 753 მლნ დოლარის ფულადი გზავნილები გადმოირიცხა; 2020 წელს – 1მლრდ 886 მლნ, 2021 წელს – 2 მლრდ 350 მლნ, 2022 წელს კი – 4 მლრ 372 მლნ აშშ დოლარი...

ხომ არ მოვიჭრიო?!“. ქალი? რას ამბობთ! ქალი ჭკვიანად უნდა იყოს, იმიტომ რომ ქალია. ეს იყო და არის დიდი პრობლემა. ქალები ნაკლებად საუბრობენ ამ საკითხზე და არც შეფასებებს აკეთებენ. ერთადერთი პასუხია: „რა მექნა? რომ არ წავსულიყავი, ჩემი ქმარი იქ ამდენს ვერ შეძლებდა. მერჩივნა, აქ ყოფილიყო და ბავშვებისთვის მიეხედაო“.

ვფიქრობ, ცოლის ხარჯზე ცხოვრების მოწყობის მიზეზი „დედიკოს ბიჭის“ სინდრომში უნდა ვეძიოთ, რომელსაც აღზრდა-ჩამოყალიბებაში დედის გადაჭარბებული მონაწილეობა, „ძლიერი სქესის“ საკრალიზაცია და კერპად ქცეული ძის განებივრება ახასიათებს. შედეგად მივიღეთ „ბიჭობაში“ ჩარჩენილ ეგოცენტრიკთა ლეგიონები, რომლებიც სიძნელეებისთვის მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. სწორედ ამიტომაა, რომ დევნილობის ტვირთმა ძირითადად ქალების ზურგზე გადაიარა.

რამდენიმე წლის წინ ფონდმა „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ დევნილობის ტრავმაზე და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე ოთხი ათასზე მეტი დევნილი გამოიკვლია (როგორც 90-იანი წლების, ისე 2008 წლის ომის შედეგად ადგილნაცვალი პირები). შესწავლილ იქნა, როგორ ახერხებდნენ მამაკაცები და ქალები პრობლემების გადაწყვეტას. კვლევის მონაცემები 2015 წელს გამოქვეყნდა. ფონდის დირექტორი, ფსიქიატრი ნინო მახაშვილი აღნიშნავს, რომ კლინიკური მდგომარეობები ქალებში უფრო იყო გავრცელებული. მაგალითად, დეპრესიისკენ უფრო მიდრეკილნი ქალები აღმოჩნდნენ და მიუხედავად ამისა, მამაკაცებზე უფრო ყოჩაღად უხვდებოდნენ პრობლემებს, გეგმავდნენ მომავალს, აქტიურად ცდილობდნენ გამოსავლის მოძებნას და ა.შ. ხოლო მამაკაცები უფრო ხშირად სტრესის დაძლევის დესტრუქციულ სტრატეგიებს იყენებდნენ (ალკოჰოლი, აზარტული თამაშები, ვითარებიდან განრიდება და სხვა).

– დევნილებთან მუშაობისას უამრავი დაკვირვება დამიგროვდა. თუ ბევრ მამაკაცს ჰქონდა იმის ფუფუნება, რომ დეპრესიაში ჩავარდნილიყო და არაფერი ეკეთებინა, ქალებს ამისი ფუფუნება ნამდვილად არ ჰქონიათ. დევნილების დასახლებებში თუ რამე პრობლემა აწუხებდათ, ქალის მეტი, ხმას არავინ იღებდა. სამთავრობო სტრუქტურებშიც მხოლოდ ქალები დარბოდნენ, მე იქ კაცები არასოდეს მინახავს და ეს იყო ტენდენცია. ჰოდა, წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, იმ უმძიმეს მდგომარეობაში, დედები ცდილობდნენ, ყველაფერი თავის თავზე აეღოთ და თავისი 14-15 წლის ბიჭები არ დაეტვირთათ, - ამბობს „აფხაზეთის ქალთა საბჭოს“ თავმჯდომარე როზა კუხალაშვილი. მისი აზრითაც, მამაკაცთა ნაკლები მდგრადობა ზედმეტი განებივრების ბრალია. ანუ, კიდევ ერთხელ დადასტურდა ცნობილი ჭეშმარიტება: **„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“**:

– ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან, მაშ რატომაა ქალის შრომა გაპრობლემებული?! კაცი რომ მუშაობს, მათ შორის - სიცოცხლისთვის საფრთხის პირობებში, მაგალითად, მაღაროში ან ჯარში, ეს კარგი და ნორმალურია და ქალის შრომა არა?!... უმეტეს შემთხვევაში ზუსტად მამაკაცია ოჯახის მარჩენალი, მაგრამ ამის გამო არავინ წუწუნებს. ქალს თუ უნდა თანასწორობა, შესაბამისი მოვალეობაც უნდა აიღოს საკუთარ თავზე – უფლებები უნდა შეესაბამებოდეს პასუხისმგებლობას. რაც შეეხება ცოლების საშოვარზე გაშვებას, თუ ქალი კაცის თანასწორია, რატომ არის ეს ცუდი? – ამბობს ახალგაზრდა იურისტი **დავით ლოლაძე და ასე მარტო ის როდი ფიქრობს.**

ამ პოზიციის მომხრეებს ავიწყდებათ, ემანსიპაცია ვალდებულებების გადანაწილებაა და არა ქალის საპალნე ვირად გამოყენება. ცუდი ის კი არ არის, ქალი თუ საზღვარგარეთ სამუშაოდ წავა, არამედ ის, მამაკაცი რომ წამოგორდება და ცოლის გამოგზავნილი ფულით „იგრიალებს“. ცუდი კიდევ ისაა, როდესაც შვილებს დედის მიმართ არანაირი მადლიერების გრძნობა არ გააჩნიათ.

სანამ ბანკომატ-ქალებს ასაკი ხელს უწყობთ და ჯანი შესწევთ, მუშაობენ. მაგრამ წლები მიდის და ერთხელაც მასობრივი დაბრუნების პროცესი დაიწყება. ვფიქრობ, „ბანკომატი-ქალების სინდრომზე“ მორგებული ფსიქოლოგიური (და არა მარტო) რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის სისტემა დაგვჭირდება. უსამართლობა იქნება, თუკი პუბლიკაციის დასაწყისში აღწერილი ისტორიის გმირის დღეში აღმოჩნდებიან.

ცოლის ხარჯზე ცხოვრების მოწყობის მიზეზი „დედიკოს ბიჭის“ სინდრომში უნდა ვეძიოთ, რომელსაც აღზრდა-ჩამოყალიბებაში დედის გადაჭარბებული მონაწილეობა, „ძლიერი სქესის“ საკრალიზაცია და კერპად ქცეული ძის განებივრება ახასიათებს. შედეგად მივიღეთ „ბიჭობაში“ ჩარჩენილ ეგოცენტრიკთა ლეგიონები, რომლებიც სიძნელეებისთვის მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. სწორედ ამიტომაა, რომ დევნილობის ტვირთმა ძირითადად ქალების ზურგზე გადაიარა.

მედეა გოგსაძე,
ავტორის ილუსტრაცია

ცხინვალის დაბომბვა და სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო იდიოტმა, მოღალატე სააკაშვილმა!!!

დაიჯერეთ ეს უსირცხვილო, უტიფარო ნაცებო!

„ტერიტორია, რომელიც რუსეთმა დაიკავა, არის ქვეგის გროვა, რომელსაც ნულოვანი ღირებულება აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას შეტევისთვის არ გამოიყენებენ“, – ექსპრეზიდენტის ეს სიტყვები ისტორიის ნაწილი გახდა, ისევე როგორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1633 კაპიტულანტური რეზოლუცია, რომელსაც ხელი მოაწერა **მიხეილ სააკაშვილმა.** ამ რეზოლუციით პრეზიდენტყოფილი 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომის ინიციატორად საქართველოს ასახელებს.

„2008 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლად დაწყებით, ესკალაცია ახალ, კერძოდ, ღია და სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების საფეხურზე გადავიდა. მძიმე არტილერიისა და კასეტური ბომბების გამოყენება, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო მოსახლეობას, წარმოადგენდა სამხედრო ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხდებოდა მისი ტერიტორიის ფარგლებში და წარმოადგენდა, როგორც ასეთი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების დარღვევას, კონფლიქტები გადაწყვიტოს მშვიდობიანი საშუალებებით“, – აღნიშნულია რეზოლუციაში.

2008 წლის აგვისტოს ომიდან 15 წელი გავიდა. 2008 წლის 9 აგვისტოს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის №402 გრძანებულება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. ისევე როგორც ამ გრძანების, მათ შორის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1633 რეზოლუციის შესახებ გამოძიება არ დაწყებულა. 2008 წლის აგვისტოს ომიდან 15 წლისთავზე, ხელისუფლება, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს ოკუპაციას, დღეს ოპოზიციური ფლანგიდან ამტკიცებს, რომ საქართველოს ომის დაწყებას სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აბრალებს და ამით მხარს უჭერს რუსულ ნარატივს.

პატიმარი **მიხეილ სააკაშვილი,** რომლის ინიციატივით აგვისტოს ომიდან რამდენიმე დღეში სტრატეგიული ობიექტები რუსეთის მფარველობაში გადავიდა და ასევე, კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა მუხლი – „სამშობლოს ღალატის“ შესახებ, დღეს ამტკიცებს, რომ მისთვის, როგორც მთავარსარდლისთვის, ორმაგად მტკივნეული იყო იმის ყურება, თუ როგორ ესხმოდა თავს რუსული არმია მშვიდობიან მოსახლეობას და როგორ ნადგურდებოდა თანამედროვე საქართველო.

აგვისტოს ომის თავიდან აცილება რომ შესაძლებელი იყო, ამის შესახებ საუბრობს პრემიერ-მინისტრი, რომლის განცხადებით, ძალიან დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ყოფილმა მთავარსარდალმა, მიხეილ სააკაშვილმა იმ ფონზე, როცა გმირმა სამხედროებმა უდიდესი გმირობა, თავგანწირვა აჩვენეს. მისი თქმით, იმჟამინდელ ხელისუფლებას არ ანაღვლებდა დაღუპული გმირები და ის, რომ ტერიტორიები იბომბებოდა.

„მთავარი კითხვა, რაც საზოგადოებას გვაქვს – რატომ დავკარგეთ კოდორის ხეობა უბრძოლველად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე? რატომ დავკარგეთ 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი? რატომ ვერ მოხდა თავის დროზე ამ ომის სათანადო პრევენცია? რატომ ვერ გაკეთდა რისკების შეფასება? პატარა გავშვიც მარტივად გათვლიდა იმ შესაძლო ნაგიჯებს, რომელიც ამ პროვოკაციებს მოჰყვებოდა, რომელიც ომამდე რამდენიმე დღით ადრე ხდებოდა.

მთელი ამ კითხვების ერთობლიობა ერთ რამეზე მიგვითითებს, რომ ეს იყო ნამდვილად ანტიერროვნული ხელისუფლება, ეს იყო მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე მზრუნველი ხელისუფლება, რომელმაც უღალატა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, უღალატა ჩვენს მოსახლეობას, ხალხს, ჩვენს გმირებს. გახსოვთ, რომ ჩვენი გმირი სამხედროების ცხედრები უკვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიატოვეს და არც კი დაინტერესდნენ. რომ არა პატრიარქის ჩართულობა, ჩვენი გმირების ცხედრების გადმოსვენებაც კი ვერ ხერხდებოდა. აი, ეს მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა ყოფილმა ხელისუფლებამ“, – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

ვისი ინიციატივით ჩაიწერა ევროსაბჭოს რეზოლუციის პირველ ვერსიაში, რომლითაც ქართველი სამხედროები დაადანაშაულეს საბრძოლო მოქმედებების დაწყებაში, ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ლიდერები არ საუბრობენ. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძე** აცხადებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყნის და სამხედროების დადანაშაულებაზე მოუწერა ხელი რუსებს.

„წარმოიდგინეთ, რას დაუჭირეს ნაცებმა მხარი – ქართველი სამხედროების დადანაშაულებას 7 აგვისტოს საბრძოლო მოქმედებების დაწყებაში, ცხინვალის დაბომბვის გაუფრთხილებლად დაწყებაში და მშვიდობიანი მოქალაქეების კასეტური ბომბებით დაბომბვაში. საკუთარი ქვეყნის და სამხედროების დადანაშაულებაზე მოუწერეს ხელი რუსებს!

მოკლედ, თუ რუსების არა, ვისი ინიციატივით ჩაიწერა თავდაპირველ ვერსიაშივე ქართველი სამხედროების დადანაშაულების ვერსია? ყველა ინფორმაციით, ეს იყო რუსული მხარის ინიციატივა. თუ ასე არ იყო, გამოვიდნენ ის ადამიანები, ვინც ამ პროცესების მონაწილე იყო და თქვან, რუსების გარდა, ვის და რატომ მოუვიდა თავში ჩვენი ქვეყნის და სამხედროების დადანაშაულება და მსგავსი ჩანაწერის შეტანა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში?!“, – აცხადებს **მამუკა მდინარაძე.**

პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი თამარ კიკნაძე აცხადებს, რომ არსებობს ოფიციალური დოკუმენტები, მათ შორის ტალიავინის დასკვნა და არის ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელსაც ქართულმა მხარემ მოაწერა ხელი, სადაც ომის დაწყებაში დადანაშულებულია საქართველო.

„ყველანაირი ტექნილოგიებით ცდილობენ ის საშინელება გადაფარონ. ის, რაც მოხდა, არის დანაშაული, სახელმწიფოს ღალატი. ტყუილად კი არ ამოიღეს სამშობლოს ღალატის მუხლი კონსტიტუციიდან. დღეს კანონმდებლობა არ იცნობს სამშობლოს ღალატის მუხლით ვინმეს დასჯას. ესენი არიან ჩვეულებრივი მოღალატეები, რომლებიც სასჯელს უნდა იხდიდნენ ამის გამო. მე, არაერთხელ აღმინიშნავს, რომ სააკაშვილს უნდა დაუმატონ ბრალდება – სამშობლოს ღალატი, რომელმაც 150 სოფელი დაკარგა და კოდორის ხეობა ძალიან საეჭვო ვითარებაში ჩააბარა მტერს. ასე რომ, ვინ დაიწყო და როდის, ეს არის აქცენტების გადატანა სხვა რაღაცაზე. ახლა კიდევ დაიწყო დებატები იმაზე, ომი 7-ში დაიწყო, თუ 8-ში? მათ უზნეობას აღარ აქვს საზღვარი. უნდა შეიქმნას ხელახალი კომისია, გამოიკვლიოს ომის შედეგები და მძიმე ბრალდებები უნდა წაუყენო სააკაშვილს და მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ საერთოდ გაქრნენ პოლიტიკური სცენიდან. სანამ ესენი პოლიტიკაში არიან, ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური პროცესი არ იქნება“, – აცხადებს **თამარ კიკნაძე.**

ისტორიკოსი, ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ამბობს, რომ შედეგების მიხედვით არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომელ დღეს დაიწყო ომი, 7-ში, 8-ში თუ 9 აგვისტოს. საქართველო-რუსეთის ომი დაიწყო 1801 წელს, როდესაც რუსეთმა მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა და ქართლ-კახეთი გუბერნიის სტატუსით შეიყვანა რუსეთის შემადგენლობაში. ამის შემდეგ მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც დღემდე გრძელდება.

„ამ წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსმა მოღალატეებმა და თავად სააკაშვილმა გაგვიკეთეს ის, რომ დღეს საქართველოს დაკარგული აქვს თავისი ტერიტორიების 20%. აი, ეს არის შედეგი. გავიხსენოთ ძველი რომაელების გამონათქვამი - „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“!.. დღეს რომ გაიძახიან საერთაშორისო სამართალიო, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო სამართალს ფეხქვეშ თელავენ ის სახელმწიფოები, რომლებიც იწოდებიან ე.წ. ზესახელმწიფოებად და რომლებიც წარმართავენ მსოფლიო პოლიტიკას.

ამ წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსმა მოღალატეებმა და თავად სააკაშვილმა გაგვიკეთეს ის, რომ დღეს საქართველოს დაკარგული აქვს თავისი ტერიტორიების 20%. აი, ეს არის შედეგი. გავიხსენოთ ძველი რომაელების გამონათქვამი – „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“!..

რასაც ახლა აკეთებენ, ეს არის მცდელობა იმისა, რომ რამენაირად თავი დაიძვრინონ იმ პასუხისმგებლობისგან, რაც გულისხმობს ევროსაბჭოს რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც ომის დაწყება დაბრალდა ქართულ მხედრობას. როდესაც ვლაპარაკობთ საერთაშორისო თანამეგობრობაზე, სწორედ მათ შექმნეს ტალიავინის კომისია, რომელმაც დაწერა, რომ საქართველომ დაიწყო ომი.

საქართველოში რუსეთმა გამოიყენა კასეტური ბომბები და მის ნაწილებს ინახავდა სააკაშვილის ხელისუფლება და არ აჩენდა. ისმის კითხვა, რატომ არ აჩენდა? ლოგიკურად გამოდის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ხელს უწყობდა რუსეთს იმაში, რომ გაეკეთებინა საქართველოს ოკუპაცია. ამის დამადასტურებელი ფაქტებია – პირველი, უომრად, ტყვიის გასროლის გარეშე ჩაბარებული კოდორის ხეობა.

რასაც ახლა აკეთებენ, ეს არის მცდელობა იმისა, რომ რამენაირად თავი დაიძვრინონ იმ პასუხისმგებლობისგან, რაც გულისხმობს ევროსაბჭოს რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც ომის დაწყება დაბრალდა ქართულ მხედრობას. როდესაც ვლაპარაკობთ საერთაშორისო თანამეგობრობაზე, სწორედ მათ შექმნეს ტალიავინის კომისია, რომელმაც დაწერა, რომ საქართველომ დაიწყო ომი. ამათ რომ სინდისნამუსი შერჩენილი ჰქონდეთ, ესენი განცხადებებს კი არ უნდა აკეთებდნენ, არმედ, საერთოდ პოლიტიკასთან ახლოს არ უნდა იყვნენ“, – ამბობს **ედიშერ გვენეტაძემ.**

თამთა ქარჩავა



პროსტიტუციის ისტორია

ისევე, როგორც ჩვენს დროში, პროსტიტუცია უწინაც იქ იყო ყველაზე ფართოდ გავრცელებული, სადაც მასზე უფრო მეტი მოთხოვნა არსებობდა. ეს კი ის ადგილები იყო, სადაც გამუდმებით იყრიდნენ თავს მარტო მამაკაცები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით გარკვეული დროის განმავლობაში ქალებთან ურთიერთობის შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ – ლაპარაკია ნავსადგურებზე, სავაჭრო და საუნივერსიტეტო ქალაქებზე, სამხედრო გარნიზონებზე. თანაც იქ ყოველთვის ბევრი ფული ტრიალებდა... ისევე, როგორც ამჟამად, ძველ დროშიც ამ მხრივ მაინც ყველაზე გამორჩეული დიდი საპორტო ქალაქები იყო, სადაც პროსტიტუცია ინტერნაციონალურ იერსახეს იღებდა.

პროსტიტუციის გავრცელებას დიდად უწყობდა ხელს სამხედრო ლაშქრობები., რომის იმპერიაში ჯარისკაცებს ცოლის შერთვა ეკრძალებოდათ, რასაც სავსებით ბუნებრივ შედეგი – მეძავობის ინსტიტუტის ფართო გავრცელება მოსდევდა. ეს მეტად საგულისხმო გარემოება კი იმ უდიდესი მოვლენის მიზეზი გახდა, რომ რომაელ ლეგიონერთა მიერ დაპყრობილ მიწებზე დატოვებული ბავშვებისგან, შემდგომ რამდენიმე რომანული ერი წარმოიშვა.

პროსტიტუციის გავრცელების კიდევ ერთი საბაბი იყო თეატრალური წარმოდგენები, რომლებზე დასწრება ქალთაგან, ძველ საბერძნეთში მხოლოდ გეტერებს შეეძლოთ, რომში კი ამ დროს მეძავებთან კავშირები მყარდებოდა.

ცხადია, პროსტიტუციის გასავრცელებლად ხელსაყრელი პირობები იყო ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილები, ქალაქური ცალკე კაბინეტიანი დუქნები, მოედნები და ქუჩების, ასევე სხვადასხვა დღესასწაულები.

არსებობდა ანტიკური პროსტიტუციის სამი დიდი წინაპირობა – ბორდელებისა და ქუჩის; მუსიკალური და ბაკხური, ასევე ჰეტერებისა და, ასე ვთქვათ, „ბოჰემური“.

რომაელი იმპერატორების ხანაში იყო კიდევ სასახლეების ბორდელები, რომელთა პირველმომწყობად მესალინა ითვლებოდა, ხოლო იმპერატორებმა ჰელიოგაბალმა, კომოდემ და კარინიუსმა მათ კიდევ პროსტიტუციისთვის გამეტებული ბიჭები შეჰმატეს.

რაც შეეხება ანტიკური მეძავის პიროვნებასა და მის სახეს, ფიზიოგნომიკის მამამთავრის ლომბროზოს აზრით, „დაბადებითი როსკიპობის“ ფესვები თავად ამ უძველესი მოვლენის პირველყოფილ ხანაში უნდა ვეძიოთ. მისი ფსიქოტიპის მთავარი გამორჩეული თვისებები იყო მოჯარბებული მომხვეჭელობა, ღორმუცელობა, ლოთობა, მატყუარობა, ჭრელი სამოსელისადმი, ასევე კოსმეტიკისადმი, მოსართავებისადმი გადამეტებული სიყვარული, გამომწვევი მზერა და სიარული, მოკრძალებულ ადგილებში თმის ამოპუტვის ჩვევა და სხვა.

* * *

ცალკე თემაა სქესობრივი ფსიქოპათია, ანუ სქესობრივი უკუღმართობები ძველ დროში. გასათვალისწინებელია, რომ იმ ხანებში სქესობრივი ცხოვრება დღევანდელთან შეუდარებლად საჯარო და მიამიტური იყო. თანაც ასეთი ქმედებისადმი შედარებით უფრო ლმობიერი დამოკიდებულება არსებობდა. და თუ არა ასეთი მიდგომა, ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა სქესობრივი ელემენტის შეჭრა ძველი სამყაროს ცხოვრების ყველა სფეროში. საქვეყნოდაა ცნობილი, რომ ანტიკურ ხანაში სქესობრივი ელემენტი ღიად იჩენდა თავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რელიგიაში, წეს-ჩვეულებებში, ენაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამის თაობაზე, ივან ბლოხი წერს, რომ „სქესობრივ ურთიერთობათა რიცხოვნობისა და სინატიფის მხრივ, ძველი სამყარო არაფრით ჩამოუვარდებოდა თანამედროვეობას, შესაძლოა სჯობნიდა კიდეც მას, რაც ნათლად ჩანს ბერძნულად და რომაულად მათი უაღრესად ვრცელი და დეტალური აღწერებიდან, რომლებიც ყველა თანამედროვე კულტურული ენის ეროტიკული სიტყვების საფუძვლად იქცნენ... მაგალითად, ბერძნებს სქესობრივი ურთიერთობისა (კოიტუსის) და ამ დროს პოზების, სხეულის მდგომარეობების აღსაწერად 70-ზე მეტი სიტყვა აქვთ“.

რაც შეეხება საკუთრივ სქესობრივ უკუღმართობებსა და ანომალიებს, ძველ დროშიც ისინი თანამედროვეობაზე ნაკლებად როდი იყო გავრცელებული. მაღალგანვითარებული ბერძნულ-რომაული კულტურა, მიძინებული სქესობრივი აბერაციებისა და დახვეწილობის მიმართ ადამიანებში დაფარული მინავლებული მიდრეკილებების ღიად გამოხატვის შესაძლებლობას აძლევდა, რომელნიც დიდად აძლიერებდნენ მათ.

გარყვნილების აპოგეა და გადაგვარების უფსკრულის ძირი, თეოდორ ბირტის აზრით, ჩვენი წელთაღრიცხვის 30-68 წლები იყო, როცა რომში კალიგულა, მესალინა და ნერონი მბრძანებლობდნენ, რა დროსაც შეუღლების ინსტიტუტისადმი სიძულვილი იმდენად უსაზღვრო გახდა, რომ იმპერატორი ავგუსტუსი იძულებული გახდა ცნობილი ცოლ-ქმრული კანონმდებლობა შემოეღო. თავის ანალებში, თალიტი ამბობს, რომ იმ დროს რომში შემოიღეს „ავხორცების კომისრების“ სამსახური რომელთა მოვალეობა ავხორცობის ახალ-ახალი სახეობების გამოგონება იყო. თანაც იმპერატორები – ტიბერიუსი, კალიგულა და ნერონი, მოგვიანებით ჰელიოგაბალი და ჰელიუს ვერი – მათ თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ. მიუხედავად ამისა, ყველა სქესობრივი უკუღმართობისა და გარყვნილების მთავარ კერებად, ისევე, როგორც ჩვენ დროში, მაინც ბორდელები რჩებოდნენ. სქესობრივ უკუღმართობათა მჭიდრო კავშირს პროსტიტუციასთან ასევე ის ფაქტიც მოწმობს, რომ მათ სხვადასხვა სახეობას იმ ჰეტერების სახელებს არქმევდნენ, ვინც მათ პრაქტიკაში სხვებზე მეტად მიმართავდა.

ძველი დროის ბორდელებში კიდევ ერთი გავრცელებული მოვლენა **სქესობრივი ფეტიშიზმი** იყო, რომლის პოპულარობას თუნდაც სტრაბონის მიერ მოყვანილი ამბავი მოწმობს, რომელიც მეფე ფსამეტიხის თავგადასავალს გვიამბობს, რომელმაც მეძავი როდოპისი ცოლად მხოლოდ იმის გამო შეირთო, რომ მისი... ნატიფი ფეხსაცმლით მოიხიბლა(!). თუმცა ამ ამბავში მარტო შემთხვევითობას არ უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ფეხსაცმელი ღმერთ დიონისეს სიმბოლოდ ითვლებოდა.

მამაკაცებში ჰომოსექსუალიზმისა და ქალებში ლესბოსელობის ფართოდ გავრცელების შესახებ უკვე გითხარით. საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძველ საბერძნეთში, მე-7 საუკუნის დროინდელ ზალევკოსის კანონმდებლობით, გარდა პროსტიურებულებისა, ყველა მამაკაცს აკრძალული ჰქონდა მოოქროვილი ბეჭდებისა და სამოსელის ტარება, რაც გარყვნილ კეკლუცობად მიიჩნეოდა. სოლონის ხანაში (მე-7 საუკუნე), ათენში მამაკაცთა პროსტიტუციისა და მაჭანკლობის გავრცელებამ, სპეციალური კანონმდებლობის შემოღების აუცილებლობა შექმნა, რომლის ერთ-ერთ მუხლში, კერძოდ, წერია: **„თუკი მამა, ან ძმა, ან ბიძა, ან მეუღვე, ანდა ოჯახის რომელიმე უფროსი (მოზარდ ბიჭს) გარყვნილებისთვის ვინეს მიაქირავებს, ამ შემთხვევაში სოლონი გარყვნილებისთვის ბიჭზე საჩივრის შეტანის უფლებას არ იძლევა. ის პირი კი, ვინც ბიჭი გააქირავა და მისი დამქირავებელიც, თანაბარი ჯარიმით ისჯებიან. ხოლო როცა გარყვნილად გაქირავებული ბიჭი გაიზრდება, იგი ვალდებული არ არის შეინახოს თავისი (გამქირავებელი) მამა და ჭერი მისცეს მას, ოღონდ გარდაცვალების შემდეგ უნდა დაკრძალოს და წესი აუგოს“.**

სოლონის კიდევ ერთი კანონი იმასაც განსაზღვრავს, რომ **მას, ვინც სხვას საკუთარ თავზე გარყვნილების ჩადენის უფლებას მისცემს, უფლება არა აქვს იყოს არხონტი, ან იყოს ქურუმი თუ ვექილი. გარდა ამისა, სამუდამოდ კარგავს რომელიმე სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას...**

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქრისტიანი რომაელი იმპერატორები მამაკაცთა პროსტიტუციას არ მფარველობდნენ და მის წინააღმდეგ ხშირად მკაცრ კანონებსაც გამოსცემდნენ, მე-4 საუკუნეშიც ის მაინც დიდად იყო გავრცელებული.

იმის გათვალისწინებით, რომ მამაკაცთა და ქალთა პროსტიტუციების ერთნაირად გავრცელების პირობებში, ამ ორი ჯგუფის ეკონომიკური ურთიერთობებიც ერთნაირი იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები, თავიანთ მომსახურებაში ერთნაირი ოდენობის გასამრჯელოს იღებდნენ, რომელთაგან შეუდარებლად ძვირი, ყველა შემთხვევაში, უბიწობა ღირდა.

მეძავ მამაკაცთა ასაკის მიხედვით დაყოფასთან ერთად, არსებობდა ასევე მათი ერთმანეთისგან განსხვავება აქტიურობის, პასიურობისა და ერთდროულად ორივე კატეგორიასთან კუთვნებულების მიხედვით.

პროსტიტუირებულ მამაკაცთა იერსახეს, კერძოდ, ფიზიკურ ნიშნებს, მიხვრა-მოხვრას, სიარულს, მზერას, ხმას, სამოსელს, ვარცხნილობას, ენაჭარტალობას და სხვა თვისებებს, ძველი დროის ყველა სატირიკოსიც და ფიზიოგნომისტიც სრულიად ერთნაირად აღწერს. **ლუკიანეს თქმით, გაცილებით იოლი საქმეა საკუთარ სამოსელში ხუთი სპილოს დამალვა, ვიდრე ერთი მეძავი მამაკაცისა.**

იმპერიისდროინდელ რომში ფართოდ გავრცელდა მამაკაცთა მეტრესების ინსტიტუტი, რომლებიც იგივე როლს ასრულებდნენ, რასაც მეძავ ქალთა ასეთივე ორგანიზატორები, თუმცა კი პოლიტიკური გავლენით მამაკაცები გაცილებით ძლიერნი იყვნენ.

მამაკაცსა და მეძავ კაცს შორის მრავალწლიანი კავშირი, ხშირად ისეთივე „ნამდილი“ ქორწილით სრულდებოდა, როგორც მამაკაცსა და ქალს შორის! იუვენალუსი აღწერს იმპერატორების **ნერონისა** და **გელიოგაბალის** ასეთ ქორწინებებს. მაგალითად, **პირველი პროსტიტუირებული, ვიზეც იმპერატორმა ნერონმა იქორწინა ვინმე მონა პინაგორი ყოფილა, რაც ყველა ცნობილი, ყოველგვარ ზღვარსგადაცდენილი საქციელის ჩამდენს, უკვე ვეღარანაირი ჩადენილი სიმილწე სახელს მეტად ვეღარ გაუტეხდა. მაგრამ მან ამის გაკეთებაც კი მოახერხა და მერე თავადვე მისთხოვდა მას, ხოლო მათი რამდენიმეღამიანი სასიყვარულო განცხრომა, სასახლეში საჯაროდ ხდებოდა. მეტიც: იმავე დღეებში ის ყვარობდა სხვა გათავისუფლებულ მონას სპორუსს, რომელიც ცოტა ხანში ასევე ცოლადაც შეირთო. მერე საქორწინო დღესასწაული საბერძნეთში გაგრძელდა, რა დროსაც ნერონს... კანონიერი შვილების ყოლას უსურვებდნენ(!!!)...**

იმპერატორი გელიოგაბალი კი ყველა ქორწინებაში ცოლის როლს ასრულებდა, რომელიც იმდენად მოსწონდა, რომ ექიმებს უზარმაზარ გასამრჯელოს დაჰპირდა, თუკი ისინი მას ნამდვილ ქალად გადააქცევდნენ. ყველა სიკეთესთან ერთად, ის ქალის ხელსაქმესაც დიდი სიამოვნებით აკეთებდა.

სენეკა ახსენებს მამაკაცების პროსტიტუციის კიდევ ერთ ფორმას, როცა ღატაკი მამაკაცები მდიდარ ქალებს „ქმრებად“ უდგებოდნენ, ცხადია, გარკვეული გასამრჯელოს ფასად.

ცალკე განსახილველია ძველი დროის პროსტიტუციის ჰიგიენა, რომელიც ძირეულად განსხვავდებოდა თანამედროვესგან. ამჟამად ყველა ჰიგიენურ ღონისძიებაში ცენტრალური ადგილი უკავია ეგრეთ წოდებულ „ვენერიულ დაავადებებს“, რადგან: 1) იმიტომ, რომ დანამდვილებითაა ცნობილი მათი გადამდების ხასიათი. ამის შესახებ ძველად არ იცოდნენ, ამიტომაც ჰიგიენას დღევანდელისგან განსხვავებული საწყისები ჰქონდა. ანტიკურ ხანაში არ არსებობდა არანაირი „სანიტარიული პოლიცია“, არ მიიღებოდა ვენერიულ სნეულებათაგან დაცვის რაიმე სოციალური თუ ინდივიდუალური ზომები. თუმცა კი, ეგრეთ წოდებული ზნეობის პოლიცია, მეძავთა „რეგლამენტიცა“ და რეგისტრაციაც, რაღაც ფორმით მაინც არსებობდნენ.

უცნაური ამბავია, მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურმა ექიმებმა (და არაექიმებმაც), რომლებმაც მშვენივრად იცოდნენ გარკვეულ დაავადებათა (ვთქვათ, კანის) კონტაქტური გზებით გადაცემის შესახებ, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ სქესობრივი გზებით გარკვეულ ავადმყოფობათა გავრცელებაზე. ამდენად, როგორც ანტიკურ, ისე შუასაუკუნოვან პროსტიტუციაზე სამედიცინო შეხედულება უპირველესად იმის გამო უნდა იყოს განსხვავებული, რომ ყველაზე საშინელი ვენერიული დაავადება – სიფილისი – იმ ხანებში არ არსებობდა, რომელიც ევროპაში მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ცენტრალური ამერიკიდან შემოიტანეს. არადა, ახლა უკვე ვიცით, რომ ჰონორეა ძველადაც არსებობდა, თუმცა კი სერიოზულ დაავადებად ის მხოლოდ მე-19 საუკუნის დამლევიდან ითვლება.

ამდენად, თანამედროვე პროსტიტუციისგან განსხვავებით, ანტიკურ მეძავობაში არ არსებობდა ბორდელებში ვენერიული დაავადების აკიდების“ შიში. ჰიგიენური ზომები, ძირითადად, სხეულიდან ბალნის, უსიამო სუნისა და გამონადენების მოცილება იყო.

სხვათა შორის, მაშინაც სქესობრივ ურთიერთობებამდე აუცილებელი იყო პირის ღრუს მოწესრიგება და ტანის დაბანა, საცხების წასმა და ამის საუკეთესო მოწმობაა უძველეს აბანოთა დიდი ფუფუნებით მოწყობა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №83, 85-87, 90

მოამზადა
ოთარ ტურაგელიძემ

(გაგრძელება იქნება)

◎ პარატატამზე

ექვსნი კვარცხლბეკზე

ნიდერლანდეგის ქალაქ როტერდამში სტარტი აიღო ევროპის პარალიმპურმა თამაშებმა, სადაც პირველ საშეჯიბრო დღეს ქართველმა პარაძიუდოისტებმა 3 მედალი მოიპოვეს.

გიორგი ქალდანი ოქროს დაეუფლა და ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო **ზურაგ ზურაგიანმა** და **ნუკრი მიღრიჯანაშვილმა** გრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

საქართველო პარალიმპურ ევროპულ თამაშებზე 27 სპორტსმენით არის წარმოდგენილი, მთლიანობაში ოთხ სახეობაში, რომელთა შორისაა პარაძიუდო, პარასროლა, პარამშვილდოსნობა და პარატაეკვანდო.

შესანიშნავად იჭიდავა ჩვენმა გუნდმა მეორე დღესაც: **რევაზ ჩიკოიძემ** ოქროს, **ინა ქალდანმა** ვერცხლის, ხოლო **ლაშა ყიზილაშვილმა** გრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.

საქართველოს პარაძიუდოს ნაკრების ანგარიშზე როტერდამის ევროპულ ფორუმზე ჯამში ექვსი მედალია. დღეს ტატამზე პარა ძიუდოში გუნდური ტურნირი გაიმართება.

◎ უნივერსიადა

ბრინჯაოს ნადავლი

ჩინეთის ქალაქ ჩენგდუში დასრულდა 31-ე უნივერსიადა, სადაც საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ 4 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა და საერთო გუნდურ ჩათვლაში 45-ე ადგილი დაიკავა.

უკვე გაუწყეთ, რომ ისტორიულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა წყალბურთელებმა, რომლებიც პირველად გახდნენ მსგავსი კომპლექსური ფორუმის პრიზიორები.

ასეთივე შედეგით ასახელეს სამშობლო წყალში მხტომელებმა **სანდრო მელიქიძემ** და **თორნიკე ონიკაშვილმა.** ისინი საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონული ხტომების ოსტატთა ტურნირის შემდეგ ავიდნენ.

დავძენთ, რომ, ტრადიციისამებრ, გაგვახარეს ძიუდოისტებმაც – **ზაურ დვალაშვილმ**ა (81 კგ) და **ირაკლი დემეტრაშვილმა** (მძიმე წონა).

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოს ნაკრებისა და „ვალენსიას“ მეკარე გიორგი მამარდაშვილი ლონდონის „ჩელსის“ ინტერესის სფეროში ისევ მოხვდა.

Standard Sport-ის ინფორმაციით, ლონდონელები მზად არიან კეპა არიზაბალაგა მიუნხენის „ბაიერნში“ გაყიდონ, რომელმაც იან ზომერი უნდა შეცვალოს. თავის მხრივ, ესპანელის შემცვლელად ლონდონელები მამარდაშვილს განიხილავენ, კიდევ ერთი ვარიანტი კი „დორტმუნდიდან“ გრეგორ კობელის შეძენაა.

უცნობია შესაძლო ტრანსფერის ფინანსური დეტალები. მამარდაშვილს „ვალენსიასთან“ კონტრაქტი 2027 წლამდე აკავშირებს და ესპანელები მას 30 მილიონ ევროდ აფასებენ. ქართველს მანამდე ყველაზე ხშირად „ბაიერნს“ უკავშირებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, გერმანელებმა აქცენტი სხვა ვარიანტებზე გააკეთეს.

აღსანიშნავია, რომ „ჩელსიმ“ ცოტა ხნის წინათ ესპანელი მეკარე რობერტ სანჩესი შეიძინა, რომელიც სავარაუდოდ, გუნდში პირველი მეკარის სტატუსით მიიყვანეს.

* * *

„უოტფორდის“ ფეხბურთელ გიორგი ჩაკვეტაძეს მცირე ტრავმა აქვს და ინგლისის ლიგის თასზე, „სტივენეიჯთან“ ვერ ითამაშა.

როგორც ინგლისური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვალერიან ისმაელმა აღნიშნა, სერიოზული არაფერია, მაგრამ გარისკვა საჭირო არ იყო.

„მატჩის შემდეგ მცირე დარტყმა მიიღო. სერიოზული არაფერია, მაგრამ სეზონის დასაწყისში გარისკვა საჭირო არ იყო“, – თქვა ფრანგმა სპეციალისტმა.

ჯერჯერობით, გიორგის მცირე ტრავმის შესახებ სხვა ინფორმაცია არ ვრცელდება და უცნობია ისიც, ითამაშებს თუ არა ხვალ ჩემპიონშიფის მომდევნო ტურში.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ჩაკვეტაძემ „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ სადებიუტო მატჩში თავი კარგად წარმოაჩინა და კომპლიმენტები დაიმსახურა როგორც ფანებისგან, ისე მწვრთნელისგან. „უოტფორდი“ ჩემპიონშიფის მეორე ტურში „პლიმუთს“ დაუპირისპირდება.

აქვე გეტყვით, რომ „უოტფორდი“ „სტივენეიჯთან“ პენალტების სერიაში დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა.

* * *

„ნაპოლი“ ახლოსაა ნიჭიერი ესპანელი ფეხბურთელის გაგრი ვეიგას ტრანსფერთან. ამის შესახებ იტალიური მედია წერს.

ადგილობრივი გამოცემების ცნობით, ნეაპოლელებმა 21 წლის ნახევარმცველთან 5-წლიან კონტრაქტზე მიაღწიეს შეთანხმებას, ხელფასის სახით კი, სეზონში 2.2 მილიონ ევროს მიიღებს.

„სელტას“ „ნაპოლი“ 35-36 მილიონ ევროს შესთავაზებს და წესით, შეთანხმება კლუბებს შორისაც უნდა შედგეს.

გაგრი ვეიგა „სელტას“ აღზრდილია, მთავარ გუნდში კი 55 შეხვედრაში 11 გოლი აქვს გატანილი. ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებში მის ანგარიშზე 8 უგოლო თამაშია.

* * *

„პარი სენ-ჟერმენის“ ფრანგი თავდამსხმელი, კილიან მბაპე, ხვალ ლიგა 1-ის პირველი ტურის მატჩში „ლორიანის“ წინააღმდეგ არ ითამაშებს, – გვამცნობს ESPN.

პარიზელებთან საკონტრაქტო დავის გამო, შემტევი ძირითად შემადგენლობასთან ერთად არ ვარჯიშობს, რომელსაც ახალი მთავარი მწვრთნელი, ლუის ენრიკე ხელმძღვანელობს.



წყაროს თანახმად, სასჯელის სახით კლუბს შეუძლია აიძულოს მბაპე გამოტოვოს პსჟ-ის ყველა თამაში აგვისტოში. „ლორიანთან“ შეხვედრის შემდეგ პარიზელები თვის ბოლომდე საფრანგეთის ჩემპიონატში „ტულუზასა“ და „ლანსის“ წინააღმდეგ ითამაშებენ.

პსჟ-ში ზოგიერთი მზადაა მბაპე პირველ გუნდს ჩამოაცილოს მთელი სეზონის განმავლობაში, თუ ის არ გაახანგრძლივებს კლუბთან კონტრაქტს. ფეხბურთელის ამჟამინდელი ხელშეკრულება პარიზელებთან 2024 წლის ივნისამდეა ძალაში.

მბაპემ მანამდე პსჟ-ს განუცხადა, რომ კონტრაქტის დასრულების შემდეგ გუნდის დატოვებას თავისუფალი აგენტის სტატუსით აპირებდა. ამის გამო თავდამსხმელი არ წაიყვანეს იაპონიის წინასასეზონო ტურნეზე და იძულებული გახდა ევარჯიშა კლუბიდან მიმავალ ფეხბურთელებთან, მათ შორის ლეანდრო პარედესთან, ჟორჟინიო ვეინალდუმთან და იულიან დრაქსლერთან ერთად.

◎ წილისყრა

წაგების შემთხვევაში

კალათბურთში საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თსუ მომავალ სეზონში ევროტურნირში იასპარეზებს. მოგეხსენებათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი სუპერლიგის 2022-2023 წლების სეზონის ჩემპიონი გახდა და 5-წლიანი პაუზის შემდეგ გახდა პირველი ქართული გუნდი, რომელმაც ევროტურნირზე თამაშის სურვილი გამოთქვა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში სექტემბერში იასპარეზებს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოხვდება, მეორე ევროტურნირში – ფიბა ევროპის თასზე გადაინაცვლებს.

8 აგვისტოს, ევრომასკეტ 2025-ის საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრის დასრულების შემდეგ გერმანიის ქალაქ მიუნხენში აღნიშნული ტურნირის წილისყრა გაიმართა. მას თსუ-ს პრეზიდენტი, ირაკლი ხარჯავანიძე დაესწრო და საუნივერსიტეტო გუნდის სავარაუდო მეტოქეებიც შეიტყო. წილისყრის შედეგად გაირკვა, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში თსუ-სა და ბენფიკას შორის დამარცხებული გუნდი ფიბა ევროპის თასის I ჯგუფში მოხვდება იტალიურ „ვარეზესთან“, ფრანგულ „შოლესთან“ და გერმანულ „გოტინგენთან“.

ფიბა ევროპის თასი ჩემპიონთა ლიგის ერთი საფეხურით დაბლა მდგომი ტურნირია, თუმცა თუნდაც თსუ-ს ჯგუფიდანაც კარგად ჩანს, როგორი სოლიდურია. შოლე, ვარეზე და გოტინგენი ევროლიგის დონისანი არ არიან, მაგრამ სამივე საკმაოდ ძლიერი კლუბია. ფიბა ევროპის თასზე მოსახვედრად ცალკე იმართება საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელშიც 22 გუნდი მონაწილეობს და მათგან საუკეთესო 7 მიიღებს ძირითადი ეტაპის საგზურს.

მთლიანობაში ფიბა ევროპის თასში 40 გუნდი ითამაშებს. წილისყრამ ისინი 10 ჯგუფში გაანაწილა. თითოეული 4-გუნდიანი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე 16 საუკეთესო გავა: 10 ჯგუფის გამარჯვებული და 6 საუკეთესო მეორეადგილოსანი.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს თსუ 25 სექტემბერს, ანტალიაში, პორტუგალიურ „ბენფიკასთან“ გამართავს. მოგების შემთხვევაში თსუ საკვალიფიკაციო ტურნირის ნახევარფინალში გავა და სლოვაკურ ლევიცესა და კვიპროსულ აეკ-ს შორის გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო ბენფიკასთან მარცხის შემთხვევაში ფიბა ევროპის თასზე გადაინაცვლებს, სადაც ჯგუფში მისი მეტოქეები „ვარეზე“ (იტალია), შოლე (საფრანგეთი) და „გოტინგენი“ (გერმანია) იქნებიან.

◎ ბრძენთა თამაში

მოგებაც, ყაიმიც

გაქოში გრძელდება ქალთა მსოფლიო თასის მერვედფინალური შეხვედრები საქართველოს ნაკრების ორი წევრის – **გელა ხოტენაშვილის** და **ნინო გაციაშვილის** მონაწილეობით.

მატჩის პირველ პარტიაში გელა ხოტენაშვილმა შავი ფიგურებით რეიტინგით მსოფლიოს მეოთხე ნომერი, ინდოელი ჰამპი კონერუ დაამარცხა დამაჯერებლად, მსოფლიო თასის მეორე ქართველმა მონაწილემ ნინო გაციაშვილმა კი ყაიმით დაასრულა შეხვედრა მსოფლიო სარეიტინგო კლასიფიკაციით მესამე მოჭადრაკესთან, ალექსანდრა გორიაჩკინასთან. მატჩების მეორე პარტიები დღეს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასის გათამაშება ქალთა და ვაჟთა შორის ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს და მისი საპრიზო ფონდი $2 500 000შეადგენს, საიდანაც, ვაჟთა ჩემპიონი $110 000 მიიღებს, ხოლო ქალთა შორის საუკეთესო – $50 000.

თითოეული მატჩი ორი პარტიისგან შედგება და ფრედ დასრულების შემთხვევაში შემდეგ წრეში გასულის ვინაობას დამატებითი ტაი-ბრეიქი გაარკვევს.

 არდავიწყება

ნონა ვაშაყმაძე-ვასილიევა

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს გარდაიცვალა საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) დოცენტი **ნონა სერგის ასული ვაშაყმაძე-ვასილიევა.**

ქ-მა ნონამ სახელოვანი გზა განვლო: ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისის ქალთა მე-8 საშუალო სკოლა; წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სრული კურსი და ასპირანტურა თეორიული ფიზიკის სპეციალობით დოც. ნიკოლოზ პოლიევქტოვ-ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. მუშაობა დაიწყო ბიოფიზიკის კათედრაზე აკად. მალხაზ ზაალიშვილთან, სადაც გამოიკვეთა მისი, როგორც უნიკალური მეცნიერის სახე: ქ-მა ნონამ, პირველმა შეუთავსა არაორგანული ფიზიკის მიღწევები ბიოლოგიურ (ორგანულ) ბუნებას. მან ბრწყინვალედ დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში (მისი კონსულტანტი კვლავ ქართული მეცნიერების ფენომენი ნიკოლოზ პოლიევქტოვ-ნიკოლაძე გახლდათ).

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს საარბრიუკენში (გერმანია) გამოცემული ფართო რეზონანსის მონოგრაფია „ფიზიკის მექანიზმები ბიოლოგიურ პროცესებში“ (რუსულ ენაზე). როგორც შემდგომში გამოიკვეთა, ქ-ნი ნონას ღრმა სტატიებმა და ამ გამოცემამ მას ბევრი მიმდევარი და მოწაფე გაუჩინა. კერძოდ, ქ-ნი ნონას მიერ მონოგრაფიაში აღწერილი პროცესები აღიარებულ იქნა როგორც დამოუკიდებელი მიღწევა, რომელიც პარალელურად (მნიშვნელოვანი დაგვიანებით) იქნა მიღებული ორი უცხოელი მეცნიერის მიერ და საფუძვლად დაედო მათთვის ნობელის პრემიის ლაურეატობის მინიჭებას.

ქ-ნი ნონას მოღვაწეობა თვალსაჩინო და სამაგალითო გახლდათ უნივერსიტეტსა და მის გარეთ: მრავალი საკურსო, სადიპლომო ნაშრომისა და საკანდიდატო დისერტაციების მეცნიერ-ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ბიუჯეტითა და გარე დაწესებულებათა თანამშრომრომლებთან გათვალისწინებულ სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ხასიათის თემების ხელმძღვანელი და თანაშემსრულებელი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობათა გამორჩეული მასწავლებელი ფიზიკის დარგებში, უნიკალური ლექციათა-სემინარების ავტორი ბიოფიზიკის მიმართულებით. ამას ყველაფერს ერწყმოდა პრინციპულობა, ჰუმანურობა და უდიდესი სიყვარული და ერთგულება მოზარდი თაობის მიმართ.

ადვილი გასაგებია, რომ ასეთი პიროვნება მისაბაძი დედაც იყო: უძნელეს პერიოდში ოჯახის სიმბოლო იყო პატიოსნება და შრომისმოყვარეობა; ქ-ნი ნონას ოჯახის ძალისხმევა გადამწყვეტი აღმოჩნდა ფენომენალური შვილების დიანასა და ეკატერინას და შვილიშვილების ნატას, ნიკას და ლეონარდოს აღზრდის მიმართულებით.

ეთხოვება რა საზოგადოება ქ-ნი ნონა ვაშაყმაძე-ვასილიევას პიროვნებას, ამით იკარგება სიცოცხლის მომხიბლაობისა და მიმზიდველობის ის თვალსაჩინო ნაწილი და აღიარება, რასაც ასე მრავლად და გულუხვად გასცემდა იგი.

საქართველოს საინჟინრო აკადემია,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ღრმა მწუხარება

სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდისა და რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კურორტ შოვში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს.

ფონდის თანათავმჯდომარეები:

იაგო გოგრიჭიანი,
ბიზნესმენი.

ოთარ კერვალიშვილი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი

შვილები ბაჩუკი, ვაჟა გონაშვილები, რძლები ლია კობაიძე, ლია მაისურაძე, შვილიშვილები ბექა, ნათია, ბიძინა, ნატალია, მერი, გურამ გონაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოფელ არბოშიკის საშუალო სკოლის მრავალი თაობის აღმზრდელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, მათემატიკოსი

მერი კოჭლამაზაშვილი-გონაშვილი

დაკრძალვა შაბათს, 12 აგვისტოს, 13 საათზე, სოფელ არბოშიკში.

სანთელი

დედის სახება

57-ე საშუალო სკოლის 1980 წლის მე-10 მეორე კლასის გამოშვების მოსწავლეები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ 90 წლისა გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი მეგობრის ზაზა ჯავახიშვილის დედა

იზაბელა შარაშიძე

და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადაო — ეტყობა, სწორედ ასეთ ამაგდარ ქალბატონებზე ბრძანა ვაჟამ.

საზამთრო და ნესვი ნიტრატებისგან დაბინძურებული არ არის!

სურსათის ეროვნული სააგენტო მოსტნეულსა და მაღჩეულ კულტურებს ნიტრატების შემცველობაზე ამოწმებს. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია საზამთროსა და ნესვის 36 ნიმუში. კვლევის შედეგად, ნიტრატების შემცველობა ნორმას არ აღემატება.

სააგენტოს ინსპექტორები ნიმუშებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საბითუმო, მსხვილი და მცირე სარეალიზაციო ობიექტებიდან იღებენ. კვლევა აკრედიტებულ ლაბორატორიაში ტარდება.

სურსათის ეროვნული სააგენტო სეზონურ მოსტნეულსა და მაღჩეულს ნიტრატების შემცველობაზე ყოველწლიურად ამოწმებს. წლის ბოლომდე კიდევ 40 ნიმუშის აღება-შემოწმებაა დაგეგმილი. შედეგების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას ოპერატიულად მიეწოდება.

...დაზარალებულად ცნეს გარდაცვლილი 12 წლის ანის დედა

„უფლებები საქართველოს“ განცხადებით, მათი ადვოკატების განცხადების საფუძველზე, თბილისის პროკურატურამ 12 წლის ანი იანუშაიტიტეს გარდაცვალების საქმეში მტკიცებულებების დაზიანების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაზარალებულად ცნო დიდ დიღომში გარდაცვლილი გოგოს დედა.

„უფლებები საქართველომ“ ანი იანუშაიტიტეს გარდაცვალების საქმეში მტკიცებულებების დაზიანების ფაქტზე გამოძიების დაწყება 2023 წლის 5 ივლისს მოითხოვა. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ უნდა დადგინდეს, თუ რა გარემოებებში მოხდა საკვანძო მტკიცებულებების შემცველი დალუქული პაკეტის მთლიანობის დარღვევა, რამაც გარდაცვლილის სხეულიდან აღებულ ნივთმტკიცებებზე მოშავო-მონაცრისფრო, ობისმაგვარი დანაშრევებისა და ნადებების წარმოქმნა გამოიწვია.

ანი იანუშაიტიტეს გარდაცვალების საქმეში მტკიცებულებების დაზიანებას თბილისის პროკურატურა იძიებს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1 ნაწილით, რაც გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას, ან არაჯეროვნად შესრულებას მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფო ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია“, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

ცნობისთვის, 17 მარტს, დიდ დიღომში, 12 წლის ანი იანუშაიტიტე სახლთან ახლოს გარდაცვლილი იპოვეს. გარდაცვლილი გოგოს დედა ამბობს, რომ მისი შვილი მოკლულია და ეფექტურ გამოძიებას მოითხოვს.

ქართველი ქალი - საბერძნეთის კრიმინალური ბანდის წევრი

საბერძნეთის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა მასშტაბური ოპერაცია ჩაატარა და დანაშაულებრივი დაჯგუფება გამოავლინა, რომელიც ბავშვთა და კვერცხუჯრედებით უკანონო ვაჭრობით იყო დაკავებული. ამ დროისთვის დაკავებულია 9 პირი, მათ შორის საქართველოს მოქალაქეც არის.

პოლიციის ინფორმაციით, დანაშაულებრივი დაჯგუფება მინიმუმ 10 წლის განმავლობაში მოქმედებდა. ბავშვთა ვაჭრობის გარდა ის უკანონო გაშვილებითაც იყო დაკავებული.

დაჯგუფებას ხელმძღვანელი დამხმარე რეპროდუქციის ცენტრის, Chaniot-ის გინეკოლოგი იყო. ასევე დაკავებულები არიან ექიმი-ემბრიონოლოგი, მდივანი, ბიოლოგი და ამ ცენტრის კიდევ რამდენიმე თანამშრომელი. რაც შეეხება ქართველს, ის სალონიკში დააკავეს. დაკავებული ქართველი ქალი იმ ქალების მოძიებით იყო დაკავებული, რომლებიც შემდეგ ბავშვებს აჩენდნენ და მათი გაყიდვა ხდებოდა.

ქართველი მძღოლების სისხლიანი გარჩევა გერმანიაში!!!

პოლონურ სატრანსპორტო კომპანია Mazuri-ში დასაქმებული ქართველი მძღოლები მესამე კვირაა გერმანიაში, ჰესენის მხარეში აქციებს მართავენ პოლონელი დამსაქმებლის წინააღმდეგ. როგორც გერმანული მედია წერს, გაფიცულთა შორის მყოფი საქართველოს მოქალაქეებიდან ორ მძღოლს პოლონეთში თანამემამულეები დაესხნენ თავს.

არსებული ცნობით, სამშაბათ დილას, კრაკოვის სიახლოვეს მომხდარი გარჩევის დროს, საქართველოს 2 მოქალაქე დანით დაჭრეს, ერთ-ერთ მათგანს კი ყური მოაჭრეს.

„დამნაშავეები საქართველოს მოქალაქეები არიან“, – წერს გამოცემა FAZ.

გერმანული მედიის ცნობით, მძღოლები მიიჩნევენ, რომ ინციდენტი Grafenhausen-West-ის დასასვენებელ ზონაში ქართველების გაფიცვას უკავშირდება.

„არსებობს ეჭვი, რომ ეს Mazuri-ის იმ მძღოლების დაშინების მცდელობაა, რომლებმაც გადაწყვიტეს, აღარ გააგრძელონ პროტესტი კომპანიის წინააღმდეგ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც გამოცემა FAZ-ს კომპანია Mazuri-ის თანამშრომლებმა განუმარტეს, თავდასხმის მსხვერპლი საქართველოს მოქალაქე ორი მძღოლი გახდა, რომლებიც გერმანიის ქალაქ გრაფენჰაუზენიდან ერთი კვირის დაბრუნებულები იყვნენ.

„ინციდენტი ბენზინგასამართ სადგურზე მოხდა, სადაც კომპანია სატვირთო მანქანებს აჩერებს, კომპანიის შტაბ-ბინიდან დაახლოებით ნახევარ კილომეტრში“, – აცხადებენ კომპანიაში. მათივე თქმით, მძღოლები დაჭრის ბრალდებით პოლიციამ ორი მამაკაცი დააკავა.

მწერალთა სახლს ქეთევან დუმბაძე უხელმძღვანელებს

სსიპ საქართველოს მწერალთა სახლს 2023 წლის 4 სექტემბრიდან ქეთევან დუმბაძე უხელმძღვანელებს. ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება უკვე გამოიცა.

2023 წლის საშემოდგომო სესიაზე მწერალთა სახლის ახალ ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, შეუწყდება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ქეთევან დუმბაძეს ულოცავს მწერალთა სახლის დირექტორად დანიშვნას და უსურვებს წარმატებებს.

შეგახსენებთ: ქეთევან დუმბაძე ამჟამად საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წევრია.

1978-1983 წლებში ქეთევან დუმბაძე სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ლიტერატურული ურთიერთობებისა და მხატვრული თარგმანის განხრით. მას პროფესიული საქმიანობის მრავალმხრივი გამოცდილება აქვს.

1977-1993 წლებში იგი მუშაობდა მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში.

გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია ადგილობრივ და უცხოურ პრესასა და პერიოდიკაში. ასევე, მას გამოქვეყნებული აქვს კლასიკური და თანამედროვე ავტორების თარგმანები.

1990-იანი წლებიდან 2013 წლამდე აქტიურად საქმიანობდა სატელევიზიო სფეროშიც. არის არაერთი ტელევიზიის საინფორმაციო, შემეცნებითი, საავტორო გადაცემებისა და პროექტების ავტორი და პროდიუსერი.

1993-1999 წლებში იგი სხვადასხვა პოზიციას იკავებდა საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურში. 2013-2017 წლებში იყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი, 2018 წელს – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ექსპერტი, ასევე, ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის – „ცოცხალი წიგნები“ – ხელმძღვანელი.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იგეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიგეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



ცნობილი მომღერალი საპატიოდ დაკრძალეს...

ირლანდიაში, ქალაქ ბრეიში ცნობილი მომღერლის, შინეიდ ო'კონორის დაკრძალვის ცერემონია გაიმართა. მომღერლისთვის პატივის მისაგებად ასობით ადამიანი შეიკრიბა, რომლებიც კორტეჟის გზაზე ყვავილებს ტოვებდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკრძალვის ცერემონიას მომღერალი ბობ გელდფი და U2-ს ლიდერი ბონო დაესწრნენ. შინეიდ ო'კონორის გარდაცვალების შესახებ 26 ივლისს გახდა ცნობილი. მომღერალი 56 წლის იყო.



გვალვის გამო წყალზე კატალონიაში შეზღუდვა დაწესდა

კატალონიის ზოგიერთ რეგიონში გვალვის გამო წყლის მოხმარებაზე შეზღუდვა დააწესეს. საგანგებო ზომები 24 მუნიციპალიტეტში მოქმედებს.

როგორც იუწყებიან, ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე წყალსაცავები მხოლოდ 20%-ითაა სავსე და, წყლის რესურსის დაზოგვის მიზნით, კატალონიის 24 სოფელში, სადაც 25 000 ადამიანი ცხოვრობს, წყლის მოხმარება შეზღუდეს. კერძოდ, ერთ ადამიანს დღეში 20 ლიტრ წყალზე მეტის გამოყენების უფლება არ აქვს. ასევე, შეიზღუდა წყლის გამოყენება სარწყავად, ხოლო ინდუსტრიული და რეკრეაციული მიზნით წყლის მოხმარება 25%-ით უნდა შემცირდეს. ესპანეთში 2023 წლის დასაწყისიდან რეკორდული გვალვაა. ყველაზე რთული ვითარებაა კატალონიასა და ანდალუსიაში.

სიარული ჯანმრთელობას გაგვიუმჯობესებს

ახალი კვლევის მიხედვით, დღეში 5 ათას ნაბიჯამდე გავლაც პოზიტიურად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. კვლევა პოლონეთის ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტისა და აშშ-ის ჯონს ჰოპკინსის მედიცინის სკოლის სპეციალისტებმა ჩაატარეს. მათ 226 ათასზე მეტი ადამიანის მონაცემების შეისწავლეს და დაადგინეს, რომ დღეში 4 ათასი ნაბიჯის გადადგმაც კი ამცირებს ნაადრევი სიკვდილის რისკს, 2 300 ნაბიჯზე მეტი კი დადებით გავლენას ახდენს გულსა და სისხლძარღვებზე.

ამასთან, რაც უფრო მეტს დადის ადამიანი, მით უფრო მეტ სარგებელს იღებს. კერძოდ, 4-ათასიანი ნიშნულის შემდეგ ყოველი დამატებითი 1000 ნაბიჯი ნაადრევი სიკვდილის რისკს 15%-ით ამცირებს. ეს შედეგები ყველა ასაკისა და სქესის ადამიანისთვის თანასწორია, თუმცა ყველაზე დიდი დადებითი ეფექტი სიარულს 60 წლამდე ასაკის ადამიანებში შეინიშნება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა ყოველწლიურად 3,2 მილიონი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი ხდება. ეს სიკვდილის გამომწვევი სიხშირით მეოთხე მიზეზია.

უკვალოდ თურმე არაფერი ქრება

ნიდერლანდელმა მეთევზემ, ჰენკ კეიპერმა ზღვაში 23 წლის წინ დაკარგული საყურე დაიბრუნა. კაცის თქმით, საყურე მისთვის ძვირფასი იყო, რადგან მასზე ის ჩაძირული ტრაილერი იყო გამოსახული, რომელზეც მუშაობდა.

მრავალი წლის შემდეგ ეს საყურე ახალგაზრდა მეთევზემ, ნოა შრევერსმა იპოვა, რომელიც სხვა გემზე მუშაობდა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ის მოლუსკების დაჭერის შემდეგ, გემბანს წმენდდა. სავარაუდოდ, საყურე მოლუსკებს ამოჰყვა. ბიჭმა საყურის ფოტო სოციალურ ქსელებში განათავსა, რომელიც კეიპერის ძმამ ნახა. მან საყურე იცნო და მაშინვე ძმას დაურეკა.

ჰავაიზე ჯოჯოხეთი ტრიალებს

ჰავაის კუნძულ მაუიზე გაჩენილი ხანძრის შედეგად, სულ მცირე, ექვსი ადამიანია დაღუპული. როგორც მედია იუწყება, ზოგიერთი ადამიანი იძულებული გახდა, ცეცხლისგან გაქცევის მიზნით, თავი ოკეანესთვის შეეფარებინა, რის შემდეგაც ისინი აშშ-ის სანაპირო დაცვამ გადაარჩინა.

ამასთან, ამერიკულმა წითელმა ჯვარმა ევაკუაციის ცენტრი მაუის საშუალო სკოლაში გახსნა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ათობით სახლი განადგურდა ხანძრის შედეგად და 10 000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა დასავლეთ მაუიში. გავრცელებული ინფორმაციით, დაახლოებით 15 000 სახლი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ტყის ხანძრის გაჩენის მიზეზად ქარიშხალი „დორა“ და დაბალი ტენიანობა დასახელდა.

ჯეკპოტი - 1,58 მილიარდი დოლარი

აშშ-ის ფლორიდის შტატში კაცმა ლატარიაში ჯეკპოტი მოიგო, რომლის ოდენობა 1,58 მლრდ. დოლარი შეადგინა. ეს სიდიდით მესამე ყველაზე მსხვილი მოგებაა ლატარიაში აშშ-ის ისტორიაში.

იღბლიანმა გამთამაშებელმა ბილეთი ქალაქ ჯექსონვილის სუპერმარკეტში შეიძინა.

ამ მოგების შანსი 1 : 300 მილიონის წინააღმდეგ შეადგენს. პრიზის მფლობელის ვინაობა ჯერჯერობით არ საჯაროვდება. ფლორიდის კანონის მიხედვით, თუ მოგებამ 250 000 დოლარზე მეტი შეადგინა, მისი მფლობელის ვინაობა პრიზის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ საჯაროვდება.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 14 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6315; ევრო - 2.8642;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3245;
100 რუბლი - 2.6900; თურქული ლირა - 0.0967;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5381;
1000 სომხური დრამი - 6.7721

ამინდი 11 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+21,	დღე	+40
მთიანი რაიონები -	ღამე	+16,	დღე	+38
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+22,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+22,	დღე	+39
თბილისი:	ღამე	+25,	დღე	+39

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge